№ 136

1877—1905

№ 136

პარასკევი, 5 აგვისტო.

პარასკევი, 5 აგვისტო.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., ყოველი განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ტელეფონი № 922.

„ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ განმეორებითი და მისაღები გამოცდა დაიწყება 26 მარიამობის თვიდან. თავისუფალი ადგილები გიმნაზიის მხოლოდ პირველ განყოფილებაში არის. სწავლა დაიწყება 5 ეკენისთვიდან. (3—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ე. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი—$1—1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მიწის გასაზოგადოებრიობა *)

—

მონობის დროს, ფეოდალურ ხანაში და დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წყობილება კერძო საკუთრებაზე არის აგებული. ამ კერძო საკუთრებამ წარმოშობა ათასგვარი უსამართლობა, ძალმომრეობა, ძარცვა-გლეჯა; კერძო საკუთრებამ დაჰყო საზოგადოება სხვადასხვა მებრძოლ წოდებად და კლასებად, ხოლო კერძო საკუთრების ეს „შავი რაზმი“ არაოდეს არ ყოფილა ისე უკიდურესად განვითარებული, ისე ურცხვი და მკაფიო, როგორც დღეს არის.

მიიხედ-მოიხედეთ გარშემო,—რას დაინახავთ? ერთი უშრომელად მილიონებს აზის თავზე და აღარ იცის, როგორ და რაში ჰფლანგოს ფულები; მეორეს კი იმდენიც არა აქვს, რამდენიც საჭიროა ადამიანისათვის, რომ მას ყოველ დღე მხოლოდ მშრალი პური ჰქონდეს უზრუნველყოფილი. ერთი მხართეძოზე წამოწოლილი, არც თესავს, არცა მკის,—ბეღლები და სასიმინდეები კი დატენილი აქვს; მეორე წელებზე ფეხს იდგამს შრომით, მთელი დღე მიწას აკვდება, იქნება წლის სარჩო მოვიყვანოვო, და, მიუხედავად ამისა, მაინც მშიერია ნახევარჯერ. აურებელი სიმდიდრეა ყოველგან დაგროვილი, ხალხს კი სიღატაკეში სული ამოსდის! სასმელ-საჭმელი თავზე საყრელად არის, ქუჩა-ქუჩა კი ლუკმა პურს თხოულობენ! ფეხსაცმელსა და ტანის შესამოსელს მტვერი სჭამს მაღაზიებში, ხალხი კი შიშველ-ტიტველი დადის! ქალაქები სავსეა ყოველგვარი საქონლით, ხალხს კი ყველაფერი აკლია! ყოველივე ეს მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა თვით კერძო საკუთრება; ყოველგვარი სხვა საშუალება, როგორიც უნდა იყოს ის, ვერც ერთ აქ ჩამოთვლილ უსამართლობას ვერ მოსპობს,—შეიძლება მან როგორმე შეასუსტოს სიმწვავე იმ გაჭირებისა, რომელშიაც ხალხის უმრავლესობა იმყოფება დღეს.

კერძო საკუთრება განიყოფება ორ მთავარ ჯგუფად: პირველს შეადგენენ მოსახმარი საგნები, ე. ი. ისეთი საგნები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს კერძო, ოჯახურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, მეორეს კი—საწარმოვო საშუალებანი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ, სახეში მხოლოდ საწარმოვო საშუალებანი უნდა გვქონდეს, რადგანაც ყველა დღევანდელ უთანხმოებასა და უსამართლობას ის გარემოება იწვევს, რომ საწარმოვო საშუალებანი კერძო მესაკუთრეთა ხელშია, და არა ის გარემოება, რომ მოსახმარი საგნები კერძო საკუთრებად ითვლებიან. ყოველ ადამიანისათვის, როგორ საზოგადოებაშიაც უნდა ცხოვრობდეს ის, საჭიროა სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, სკამი, მაგიდა და სხვა ამგვარი საგნები. კერძო საკუთრების გაუქმება ამ საგნებზე არავითარ საზოგადოებრივ წყობილებისათვის არ არის საჭირო და არც ამგვარი კერძო საკუთრება იწვევს საზოგადოებრივ უსამართლობას. ყოველგვარ უსამართლობის ბუდე ცხოვრებაში ის არის, რომ საწარმოვო საშუალებანი კერძო საკუთრებად ითვლებიან დღეს, და აგრეთვე ის გასაოცარი ულოღიკობა, რომ ხშირად წარმოება საზოგადოა, ე. ი. წარმოებაში მთელი კრებული იღებს მონაწილეობას, საწარმოვო საშუალებანი კი ამავე დროს კერძო მესაკუთრის ხელშია და ამიტომ საზოგადო წარმოების ნაყოფსაც ის ისაკუთრებს!

რას წარმოადგენს მიწა? — საწარმოვო იარაღს, საწარმოვო საშუალებას. ამიტომაც ის უნდა იყოს საზოგადო. რას ნიშნავს მიწის გასაზოგადოებრიობა? მიწის განსაზოგადოებრიობა ანუ მიწის სოციალიზაცია ნიშნავს იმგვარ ფორმას აგრარულ ურთიერთობისას საზოგადოებაში, როდესაც მემამულე, მიწის პატრონი სრულიად ქრება, მიწა კერძო საკუთრების ხასიათს ჰკარგავს და ხდება საზოგადო საკუთრებად,—ის ეკუთვნის მთელ საზოგადოებას და სარგებლობს მითი საზოგადოების ყოველი წევრი, რომელსაც თვითონ შეუძლიან მიწის დამუშაბა. დღეს მიწის უმეტესი ნაწილი იმათ ხელშია, ვინც მიწას სრულებით არ მუშაობს, მიწის მუშა კი, ესე იგი ის ადამიანი, რომელსაც სრული უფლება აქვს, საკმაო მიწით სარგებლობდეს, მიწას მოკლებულია. მიწა ბევრია, ძალიან ბევრი,—ის ყველა მიწის მუშას ეყოფა, ხოლო თუ დღეს მიწის მუშა შიმშილით კვდება, ამის მიზეზი ის არის, რომ მიწას ყოველგან ის დაპატრონებია, ვინც მიწას არა მუშაობს. ამიტომ გზა სიმართლისა, სამართლიანობისა და ხსნისაკენ ერთადერთია: უნდა ჩამოერთვას მიწა ყველას და ალიარებულ იქმნეს საზოგადოების საკუთრებად იმ პირობით, რომ ყოველ წევრს საზოგადოებისას, რომელსაც კი ექნება სურვილი და ღონე მიწის მუშაობისა, შეეძლოს ამ მიწით სარგებლობა.

რაკი ასეთი მაღამო ყოფილა სოფლის დატაკებისათვის მიწის გასაზოგადოებრიობა, ავიღოთ და გამოვაცხადოთ მიწა საზოგადოების კუთვნილებად! თუმცა ცალიერი სურვილების გამოცხადება არავითარ ისტორიის არა ქმნის და ყოველგვარი სურვილის განსახორციელებლად შესაფერისი რეალური პირობებია საჭირო, მაგრამ ბევრი ჩვენში მაინც დარწმუნებულია რომ მიწის სოციალიზაცია ადვილი მოსახდენია და შეიძლება მალეც მოხდესო; ბევრს კიდეც დაუსახავს ეს თავის მოქმედების მახლობელ მიზნად.

ის აზრი, ვითომ დღევანდელს პირობებში ან არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის შეცვლისათანავე შესაძლებელი იყოს მიწის გასაზოგადოებრიობა, უტოპიური, შემცდარი აზრია. კაპიტალიზმი დღითი-დღე ძლიერდება, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც; მას ჯერ კიდევ დიდი მანძილი აქვს გასავლელი, სანამ თავისი განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიაღწევს; კაპიტალიზმმა ძირიანად შესცვალა ქალაქის ცხოვრება, ის ნელნელა შედის სოფელშიაც და თანდათან ფეხს იმაგრებს აქაც; კაპიტალიზმმა ისე დაუმორჩილა სოფელი ქალაქს, რომ მათი დაყოფა, მათი დაშორება დღეს აღარავითარ ძალას აღარ შეუძლია. სოფელში ფეოდალიზმის ნაშთებს გვერდში ამოუდგა კაპიტალიზმი; პირველი თანდათან ქრება, მეორე კი თანდათან აპირობს გაძლიერებას. მე არ ვუარვყოფ, რომ შეიძლება ამ პროცესის შეჩერება, მე არ ვუარვყოფ, რომ შეიძლება სოფელში ეს პროცესი იმ გვარად არ წავიდეს, როგორც ქალაქში, და ყველაფერში არ დაემსგავსოს ქალაქის კაპიტალიზმს, ხოლო სრული მოსპობა ამ პროცესისა რაიმე გარეშე ძალით მაშინ, როდესაც ეს პროცესი ჯერ არ მისულა თავის განვითარების უკიდურეს წერტილამდე, ისეთი ნაბიჯია, როგორიც ჯერ არ იცის ისტორიამ. მიწის სოციალიზაცია წარმოადგენს სოციალიზმის ერთ მთავარ მუხლს; გამოყოფა ერთი ნაწილისა და მისი განხორციელება ცალკე სოციალიზმის მთლიან შენობის გარეშე, სოციალიზმის დამყარება სოფლად მაშინ, როდესაც ქალაქში კაპიტალიზმის სრული ბატონობა იქნება,—მხოლოდ უტოპიაა: კაპიტალიზმი ერთ დროს უნდა დაემხოს ქალაქშიაც და სოფელშიაც, სოფელი და ქალაქი ერთ დროს უნდა განთავისუფლდნენ.

როგორ მოხდება ეს განთავისუფლება?

სიცოცხლეს, ორგანიული იქნება ის თუ საზოგადოებრივი, თავისი დასაწყისი აქვს და თავისი დასასრულიც; ზრდა ორგანიზმისა და საზოგადოების არსებულ წყობილების მარტო განვითარება და წარმატება კი არ არის, არამედ ამავე დროს თანდათან ხრწნაც, ნელი სიკვდილი. ეს ორი ერთი მეორის სრული საწინააღმდეგო პროცესი თანჰყვება ყოველგვარ ახლად გაღვიძებულ სიცოცხლეს, ახლად, აღორძინებულ საზოგადოებრივ წყობილებას; ვითარდება პირველი,—ვითარდება მეორეც. დაიბადება თუ არა ბავშვი, დაბადების წამიდანვე მის სხეულში მოქმედებს განვითარების პროცესთან ერთად ხრწნის პროცესიც. ბავშვი გაიზრდება, დასრულდება, მისი განვითარება დამთავრდება, შედგება რამდენსამე ხანს ერთ ხაზზე; მთელ ამ დროს განმავლობაში პირველი პროცესი სჭარბობს მეორეს; მაგრამ მიაღწევს თუ არა ორგანიზმი განვითარების საბოლოო საფეხურს, ხრწნის პროცესი იწყებს ჭარბობას, გაძლიერებას და ბოლოს იმარჯვებს: ყოველგვარი სიცოცხლე სიკვდილით თავდება.

წავიდა ის დრო, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარნი საზოგადოებას რთულ ორგანიზმად სთვლიდნენ, ცოცხალი არსების მსგავსად, და ამიტომ მეც ნურავინ დამწამებს ამ შედარებას, ვითომ საზოგადოებრივ ცხოვრებას ფიზიოლოგიითა ვხსნიდე. ეს ანალოგია მე მხოლოდ მისთვის მოვიყვანე, რომ მისი დახმარებით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება უფრო ნათლად დამეხატა მკითხველის თვალწინ. ყოველგვარი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, განვითარების რომელ საფეხურზედაც უნდა იდგეს ის, შეიცავს ორს ერთიმეორის საწინააღმდეგო ძალას: ერთი ავითარებს მას, მეორე კი სპობს უმზადებს. ყოველგვარი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა თავის განვითარების დროს თავის გულშივე ავითარებს იმ ძალებსაც, რომლებიც მას ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებენ; ამგვარია ლოღიკა საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

რატომ ხდება ასე? აი, რატომ:

საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანების ძმური კავშირი კი არ არის, არამედ ბრძოლაა კლასთა შორის. მებრძოლთა შორის ერთი ძლიერია, მეორე სუსტი. საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველ დროს იმგვარია, როგორი განწყობილებაც ანუ ურთიერთობაც არსებობს ამ კლასთა შორის. სანამ ვითარდება და ძლიერდება გაბატონებული კლასი,—ცხოვრებაც უცვლელია; ხოლო გაბატონებულ კლასის გაძლიერების დროს დაჩაგრულ კლასს კი არა სძინავს,—ისიც თანდათან ძლიერდება და ბოლოს ისეთი მომენტი დგება, როდესაც დაჩაგრული კლასი დამჩაგვრელსა სძლევს, მაშინ მყარდება კლასთა შორის ახალი ურთიერთობა და ცხოვრებაც ძირიანად იცვლება; ამგვარია ლოღიკა ისტორიულ განვითარებისა. მაშ ვინ უნდა დაამარცხოს გაბატონებული კლასი? დაჩაგრულმა კლასმა, ვის შეუძლია ცხოვრების ძირიანად შეცვლა? მხოლოდ დაჩაგრულს კლასს. ხოლო დაჩაგრულ კლასს მაშინ კი არ შეუძლია ცხოვრების ძირიანად შეცვლა, როდესაც კი ამას მოისურვებს ან მისი იდეოლოგები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საკმაოდ განვითარდება და თავის ძალას შესაფერ პოლიტიკურ უფლებებით განამტკიცებს.

დღეს ბოლოსის ველზე დგანან ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თუმცა ამავე ველზე პირისპირ დგანან მიწის მუშა და მემამულე, მაგრამ ამათ ორივეს იმდენად აქვთ იმ ბრძოლაში მნიშვნელობა, რამდენადაც მემამულე ბურჟუაზიას ემხრობა, მიწის მუშა კი—პროლეტარიატს. ასე რომ ბრძოლის გადამწყვეტი დღეს პროლეტარიატია. დღევანდელ ბიუროკრატიულ რეჟიმის შეცვლა პროლეტარიატს სრულს გამარჯვებას კი არ მოასწავებს და არც ცხოვრების შესვლის ძირიანად,—პირიქით, არსებულ რეჟიმის შეცვლა გააძლიერებს ბურჟუაზიას და პროლეტარიატს კი მხოლოდ საშუალებას მისცემს თავისუფლად და მედგარ კლასიურ ბრძოლისათვის; პროლეტარიატის გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს არის და ამიტომ ის აზრი, ვითომ შესაძლებელი იყოს მიწის სოციალიზაცია არსებული რეჟიმის შეცვლისათანავე, როდესაც ბურჟუაზიის გაძლიერებას და სრულს ბატონობას ნიადაგი განუმტკიცდება და პროლეტარიატს მხოლოდ საშუალება მიეცემა ბურჟუაზიასთან თავისუფალ ბრძოლისა, სრული შეცდომაა და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მისი პატრონები ცხოვრების კვლევის დროს ცხოვრებისავე აუცილებელ კანონებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ თავისი საკუთარი სურვილებით.

არსებულ რეჟიმის შეცვლით განმტკიცდება ბურჟუაზიული წყობილება და ბევრს გულუბრყვილოს კი იმედი აქვს: ახლავე სოციალიზმის სამფლობელოში გადავხტებითო. დავანებოთ თავი იმ მოსაზრებას, რომ მიწის სოციალიზაციის მოხდენა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს და შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ცხოვრების სათავეში მოექცევა, და შევხედოთ ამ საკითხს სხვა მხრითაც. მიწის სოციალიზაცია თხოვნითა და სურვილებით არ განხორციელდება,—ის უნდა განხორციელდეს ბრძოლით. ვინ უნდა იძიოს ღონე ამისათვის? იმან, ვისთვისაც მიწის განსაზოგადოებრიობა სასარგებლოა. ვისთვის არის ეს სასარგებლო? ბურჟუაზია მთელი თავისი ბუნებითადი მდგომარეობით მიწის სოციალიზაციის მტერია, ამგვარივე მტერია და უფრო მეტიც თავად-აზნაურობა; პროლეტარიატი დღევანდელ პირობებში არც დაიწყებს და ვერც დაიწყებს ღონის ძიებას მიწის სოციალიზაციისათვის, რადგანაც ეს ერთის მხრით არ არის მისი პირდაპირი ინტერესი და არც იმდენად ბრმაა პროლეტარიატი, რომ ქალაქში სრული ბურჟუაზიული ექსპლოატაცია დასტოვოს და სოფლად მიწის სოციალიზაციისათვის ღონე იძიოს; მეორე მხრით, ესეც რომ არ იყოს, ამისათვის შესაფერ ძალას დღეს პროლეტარიატი მოკლებულია. დარჩა სოფლის გლეხობა. რას წარმოადგენს დღეს სოფლის გლეხი? წვრილ მესაკუთრეს ანუ წვრილ ბურჟუას; მთელი მისი ბუნება გაჟღენთილია ბურჟუაზიულ იდეებით, ბურჟუაზიულ მისწრაფებით და ამიტომ დღევანდელი გლეხი შეურიგებელი მტერია მიწის სოციალიზაციისა. ვთქვათ, ესეც შეცდომაა და დღევანდელ გლეხს შეგნებული აქვს მიწის სოციალიზაციის მნიშვნელობა და სურს კიდეც მისი დამყარება. მერე განა გლეხ-კაცობა წარმოადგენს იმგვარს კლასიურის შეგნებითა და სოლიდარობით განმტკიცებულ ძალას, რომ მან არსებული ბურჟუაზიული წყობილება თავისი ძალღონით დაამარცხოს? ეს ხომ ბავშური იმედია!

დავანებოთ ყველა ამ მოსაზრებას თავი და დავიჯეროთ ერთ წამს, რომ არსებულ რეჟიმის შეცვლისათანავე შეიძლება მიწის სოციალიზაციის მოხდენა, და ვიკითხოთ, სასარგებლოა და სასურველი დღეს მიწის სოციალიზაცია, თუ არა. ყველამ კარგად ვიცით, რომ არსებულ რეჟიმის შეცვლით მომქმედ პროლეტარიატს მიეცემა ან ფართო თავისუფლება ან შეკვეცილი თავისუფლება ბურჟუაზიულ წყობილებასთან საბრძოლველად; და, აი, მაშინ როდესაც აღვირახსნილი ექსპლოატაცია სრულს ბატონობაში იქნება, როდესაც საჭიროა მედგარი და თავგანწირული ბრძოლა, როდესაც საჭიროა კლასიური ბრძოლის გაძლიერება, მაშინ, როდესაც ყოველი მებრძოლი მუშა ძვირფასია, მიწის სოციალიზაციის დამყარებით ჩვენ თვალებს ვუხვევთ გლეხკაცობას, ვაბრმავებთ მას, ბრძოლის წრეს გარეშე ვტოვებთ, მებრძოლთა რიცხვიდან ვთიშავთ და ამგვარად სოციალიზმს კი არ ვამყარებთ, მებრძოლ კლასს ვასუსტებთ, ვქსაქსავთ, სოციალიზმს ძირს ვუთხრით და ბურჟუაზიულ ექსპლოატაციის გაძლიერებასა და დღეგრძელობას ხელს ვუწყობთ. საჭიროა, რომ თვით ხალხმა და მისაა გულშემატკივრებმაც შეიგნონ ეს და დაადგნენ სრულებით სხვა გზას.

როგორია ეს სხვა გზა? აი როგორი:

დღეს გლეხს, როგორც აქტიურ ელემენტს ორი რამ აკლია: ძალა და შეგნება. საჭიროა, რომ მან შეიგნოს კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა, პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს ამ ბრძოლაში და ამით თანდათან შეითვისოს პროლეტარული შეხედულება ცხოვრებაზე. გლეხი მხოლოდ მაშინ შესძლებს სოციალიზმის განხორციელებას, როდესაც ის პროლეტარიატს ამოუდგება გვერდში. ამისათვის კი საჭიროა, რომ გლეხი ან **გაპროლეტარდეს ან პროლეტარიატის პროგრამა მიიღოს.** არც ერთი ჩვენგანი ხელს არ უნდა უწყობდეს გლეხის გაპროლეტარებას; კაპიტალიზმის შეუჩერებელი განვითარება თვითონ აყენებს გლეხს გაპროლეტარების გზაზე; ამ გზაზე გლეხს წინ უხვდება ათასგვარი გაჭირება და ამ აუცილებელ პროცესში ყოველმა ჩვენგანმა სამართლიანობა უნდა შეიტანოს მით, რომ გლეხს მძიმე უღელი გაჭირვებისა შეუმსუბუქოს, ხოლო მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ გლეხი პროლეტარულის შეხედულობით აღიჭურვოს, გონებითად, მისწრაფებით გაპროლეტარდეს. ამგვარის გზით საერთო მიზანი არაფერს არა ჰკარგავს, გლეხი კი ასცდება ბევრ იმ გაჭირებას, რომელიც თან მოსჩხავის შავი ყორანივით მის გაპროლეტარებას. ამიტომ ყველა ის მოსაზრებანი, რომლებითაც გამოწვეულია ჩვენში დღევანდელი აგრარული მოძრაობა, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ; ამ მოძრაობის წყალობით გლეხი თავიდან აიცილებს გაპროლეტარების ბევრ სიმწვავეს, იგებს კლასსიურ ბრძოლის საჭიროებასა და სარგებლობას, უკავშირდება პროლეტარიატს, ნელ-ნელა ითვისებს უკანასკნელის შეხედულებასა და მისწრაფებას და ამგვარად აქტიური მონაწილე ხდება სოციალიზმის დიად შენობის აგებაში...

დღეს კი გლეხი შეხუთულია, შებორკილია, სიღატაკესა და გაჭირვებაში ღაფავს სულს და დღეს უნდა მას შველა, დღეს ეჭირვება მას ქომაგი. რაც უფრო სრულიად იქნება დაკმაყოფილებული გლეხის საჭიროებანი და მისი მოთხოვნილებანი, მით უფრო მტკიცე ნაბიჯითა და შეურყეველის რწმენით შედგება იმ ახალ გზაზე, რომლის შესახებაც აქ ვლაპარაკობდით. ამისათვის საჭიროა, რომ გლეხს სრულ საკუთრებად მიეცეს ნადელი, დაუბრუნდეს ჩამონაჭერი, მიეცეს ტყე და საბალახე და დაეთმოს მემამულეს მიწა იმგვარ პირობებში, როგორაც ადგილობრივ გლეხთა რწმუნებულნი შეიმუშავებენ.

ეჭვს გარეშეა, ყოველსავე იმას, რასაც დღეს გლეხი მიიღებს, მიწის სოციალიზაციასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობა აქვს,—ამას ვამბობდი მე ერთ-ერთ ჩემს წერილში და იქვე ვუმატებდი: მიწის სოციალიზაციას მხოლოდ წელში გამაგრებული პროლეტარიატი მოახდენს-მეთქი, და „მოგზაურმა“ აქაც კი შესაძლოდ დაინახა ჩემი აზრის დამახინჯება და ჩემი „ესერად“ გამოცხადება; მალე სხვა რამედ გამომაცხადებენ, ალბად: სახელწოდებით უნდათ ადამიანის შეშინება და აზრის დახასიათება!

ი. გომართელი.

*) ბ-ნ ი. გომართელის „გლეხისადმი წერილები“-ს გაგრძელება, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვეღარ იბეჭდება. იმ საკითხზე, რომელსაც ბ-ნი ი. გომართელი დღეს ეხება, ჩვენ ცალკე წერილში გამოვთქვამთ ჩვენს შეხედულობას. რედ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 აგვისტო.

ნიჟნი-ნოვოგოროდი, 3 აგვისტო. დაიწყო სხდომები მთელი რუსეთის სტაროობრიადცების კრებისა, რომელიც 130 კაცისაგან შესდგება. სხდომები სამს დღეს გაგრძელდება.

ეკატერინბურგი, 3 აგვისტო. ინსპექტორებმა და მასწავლებლებმა გადასწყვიტეს, დაარსონ მასწავლებელთა სამედიატორო სასამართლო და გამომძიებელი კომისია.

ჩელიაბინსკი, 3 აგვისტო. ორენბურგის გუბერნიის მასწავლებლების კრება დაიწყო.

მაკარია, 2 აგვისტო. ბაზრის სოვდაგართა რწმუნებულების სესიამ კრებები დაიწყო. კრების დაწყებისას გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა და ურჩია კრებას: წყნარად და მშვიდობიანად მოიქეცით, სხვადასხვა ხმებს ნუ აჰყვებითო. სასტიკი ზომები მაქვს მიღებული, რომ ბაზრობაზე არავითარი უწესოება არ მოხდესო.

სტაროობრიადცების კრებაზე 135 წარმომადგენელია. კრებები ორს დღეს გასტანს. წმინდა ადგილების დასათვალიერებლად გოროდესში აპირობენ წასვლას.

კანეა, 3 აგვისტო. კანდიაში ინგლისის ჯარსა და აჯანყებულთა შორის შეტაკება მოხდა; ერთი კაცია მოკლული. მეამბოხეები ქალაქის ხელში ჩაგდებას სცდილობდენ.

რეტიმნოს ოლქში რუსეთის ჯარსა და აჯანყებულთა შორისაც შეტაკება მოხდა. მეამბოხეთ მანოსი ჰბელადობს. ბევრია დაჭრილი და მოკლული.

მადრიდი, 2 აგვისტო. გაზეთები მთავრობასა ჰკიცხავენ იმის გამო რომ, ანდალუზიაში არაფერს აკეთებს. ასი-ათასი მუშა უკიდურესს მდგომარეობაშია, ყოველგვარი სანოვაგეც აკლიათ. თუმცა ცდილობენ დახმარება გაუწიონ, მაგრამ სიმშილობა მაინც მძვინვარებს. დამშეული ხალხი დიდათაა თავგამოდებული. სევილის პროვინციაში ამჟამად ეგრედ-წოდებული «ყაჩაღი»-ები მუსრს ავლებენ შეძლებულთ. ბევრი მემამულე გარბის, რომ თავს უშველოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო.

ტოკიო, 2 აგვისტო. კატაოკა იუწყება, რომ იმის ესკადრის ერთ ნაწილს 31 ივლისს იერიში მიუტანია რუსებზე. თათრის სრუტეში გადაუსხავთ დესსანტი, რომელსაც მოულოდნელად რუსები დასცემიან, ერთი კაცი მოუკლავთ და ოთხიც დაუჭრიათ. შემდეგ კი დესსანტმა რუსები მაინც გაჰფანტა. იმავე დღეს სახალინის ალორსაველეთ ნაპირზე კონტრ-ადმირალმა გემმა იერიში

მიიტანა რუსებზე, რომლებსაც სატელეგრაფო სადგური რაიოტო ეჭირათ. თვრამეტი კაცი ტყვედ წაუყვანიათ და იარაღი და სატელეგრაფო აპარატი წაურთმევიათ.

პეტერბურგი, 3 აგვისტო. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალის ლინევიჩისა 1905 წლის 1 აგვისტოს თარიღით: **პირველი.** „31 ივლისს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა ლაზარევის პოსტს ზარბაზნები დაუშინეს. კორეიდან მოსულ ცნობებით, 22 ივლისს იაპონელების რაზმი კოუნგოუნიდან სოფელ შაკერთან მყოფ რუსებისაკენ გაემართნენ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. 24 და 25-ს ივლისს მტერმა იერიში განაახლა, მაგრამ ისევ უკუ გდებულ იქმნა. 28 ივლისს რუსების რაზმმა სოფელ ონგოსთან მოწინააღმდეგეს სროლა აუტეხა, მერე იერიში მიიტანა და სამხრეთით, იაპონელების პოზიციებისკენ დაიხევინა". **მეორე:** „კორეიდან იუწყებიან, რომ რუსებმა სოფელი კოუნგოანი დაიჭირეს. ლაზარევსთან სროლა 31 ივლისს დილით შეწყვეტილია. იაპონიის ნაღმიანი გემები წასულან".

პორტსმუტი, 2 აგვისტო. დღეს მეოთხე მუხლი განიხილეს, რომელიც ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს ეხება. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ რუსეთის კონცესიები ამ ნახევარ-კუნძულზე იაპონელებს გადაეცეს. ამბობენ, რომ მესამე მუხლი მანჯურიის რკინის გზას კი არ ეხებოდა, მანჯურიაში ჩინეთის უფლებათა აღდგენას არკვევდა. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ მერე ითათბირებენ. ის თორმეტი მუხლი, რომელსაც ახლა დელეგატები განიხილავენ, სარწმუნოდ დაედება ხელშეკრულობას, ხოლო ხელშეკრულობის დროს კი შეიძლება ტექსტი შეიცვალოსო.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. ოფიციალურად. მეექვსე მუხლი მიიღეს. ხვალ მეშვიდეს განიხილავენ.

ხარბინი, 2 აგვისტო. ის ხმები, ვითომც იაპონელების პატარა იერიშები, ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა, არაა მართალი. იაპონელების იერიშს მხოლოდ დაზვერის ხასიათი ჰქონდა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზავზე თათბირობის დროს, ბრძოლის ველზე რაიმე მნიშვნელოვანი შეტაკება მოხდეს. ამ ბოლო ხანებში ჩრდილო მანჯურიაში ხუნხუზებმა თარეშობას უმატეს. ბოდუნის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, იაპონელთა ბელადობით ხუთასამდე ხუნხუზი დათარეშობს.

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. „დე-ლი ქრონიკელ" იუწყება: რუზველტს მტკიცედა სწამს, რომ პორტსმუტის კონფერენცია სამშვიდობო ხელშეკრულებას დასდებსო.

(დამის დეპეშები იხ. მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინი. იაპონელებმა საბოლოოდ დაიპყრეს სახალინი და ურიცხვი კატორგელი ხელთ იგდეს. მაგრამ იაპონელები არ აპირობენ ამ დავლით სარგებლობას და კატორგელებს ისევ რუსებს უბრუნებენ. ტოკიოდან იუწყებიან: დღეს თუ ხვალ იაპონელები კატორგელებს გემებზე დასხამენ და ციმბირის ნაპირებთან გადასხამენო.

სახალინი 900 ვერსზე გადაჭიმულა და მთელ ამურის ოლქსა, ამურის შესართავსა და ვლადივოსტოკსაც კრიჭაში უდგა. სახალინზე აუარებელია შავი ქვა და ტყე. გარდა ამისა სახალინის ნაპირებზე იაპონელები ყოველ წელს რამდენიმე ათ მილიონ ფუთ თევზს იჭერენ და ზოგს საჭმელად ხმარობენ, ზოგს—სასუქად. ამრიგად სახალინს იაპონიისთვის უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. რუსეთი დღემდის ყოველ წელს სახალინზე 2 მილიონ მანათამდე უმატებდა, იაპონიას კი ამერიკელები ახლავე წელიწადში 100 მილიონ მანეთს საიჯაროს აძლევენ (ს. ო.).

წითელ ჯვრის ხარჯი. 18 თვის განმავლობაში წითელმა ჯვარმა დახარჯა 21.090,962 მანეთი (პ.).

ჯილდო. სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა, რომ საინტენდანტო მთავარ სამმართველოს მოსამსახურეები „სამაგალითო სამსახურისთვის" 100 ათასი მანათით დააჯილდოვოს (ს.).

ახალი ამბავი

— როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, კავკასიის ნამესტნიკმა **ქ. ქუთაისსა, ფოთსა და ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადებული სამხედრო წესები გააუქმა.** ამიტომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქმნა. ქ. ბათომსა და კინტრიშის ნაწილში სამხედრო წესები ისევ დარჩა. ამ ადგილების დროებით გენერალ-გუბერნატორობა მიენდო ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ფონ-პარკაუს.

— კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის საცენზურო კომიტეტს, გადასინჯოს კავკასიის ყოფილ მთავარ-გამგეობის განკარგულება **ყორანის ქართულ ენაზე გადმოთარგმნის შესახებ.**

— კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ნაფიც ვექილის თანაშემწეს **ლ. ლ. ბახტაძეს გამოსცეს ყოველ დღიური გაზეთი, სახელად „ახალი დროება".**

— ქართული დრამატიული საზოგადოება **წარმოდგენების მართვას ენკენისთვის დამლევს შეუდგება.**

— თელავიდან გვწერენ: 31 ივლისს თელავში მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ნ. ზ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით **მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება შესდგა.** კრებას ბჭობა ჰქონდა იმ ფულის განაწილების შესახებ, რომელიც სათავად-აზნაურო ბანკის სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ისესხეს. ბევრი კამათის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა: აირჩიოს კომისია და ამ ფულის განაწილება მას მიანდოს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: თავ. დ. ს. მაყაშვილი, ვ. ა. მაყაშვილი, მ. ზ. ჭავჭავაძე, ი. ა. ქობულაშვილი, დ. გ. აბელიშვილი, კ. დ. მაჭავარიანი და ს. ლ. მელვინეთხუცესოვი. კრებას გარეშენი და პრესსის წარმომადგენელნიც დაესწრნენ.

— ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საგანგებო მატარებლით **კისლოვოდსკში გაემგზავრა კავკასიის ნამესტნიკი** გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ. ნამესტნიკის გასაცილებლად ვოგზალზე გამოვიდნენ: საქართველოს ეგზარხოსი, ნამესტნიკის თანაშემწენი—გენერალი მალამა და სულთან-კრიმ-გირეი, გუბერნატორი, კომენდანტი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი ჯამბაკურ-ორბელიანი, ქალაქის მოურავი და სხვა წარჩინებულნი.

— კავკასიის პოლიციის გამგე გენერ. შირინკინის თანამდებობის ასრულება, შირინკინის ტფილისში არ ყოფნის დროს, მიენდო **მის კანცელარიის გამგეს.**

— „ცნ. ფურ". პეტერბურგიდან დეპეშით **ატყობინებენ:** „სახელმწიფო საბჭოს ახალი პროექტი დაამტკიცეს. 6 აგვისტოს გამოცხადდება მანიფესტი, რომლის შედგენა მიენდო პობედონოსცევსაო".

— რკინის გზის მთავარმა გამგეობამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, **გამოიწვიოს შორეულ აღმოსავლეთში წასვლის მსურველი მოსამსახურენი.**

— ამ დღეებში, პირიქით ხევსურეთში, 500 **შეიარაღებული ქისტი თავს დასხმია** თუშ-ფშავ-ხევსურებს და შეტაკება მოსვლიათ. შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, ქისტების საზღვრებზე კაპიტან ლაშჩუკის მეთაურობით „ოხოტნიჩი" კამანდა გაიგზავნა.

— კავკასიის მიდამოებში, 30 ივლისს, **ოციოდე ინგუში თავს დასხმია მილიციონერთა რაზმს.** მოუკლავთ ერთი ცხენი და ორიც დაუჭრიათ. თოფის სროლაში ერთი ინგუში მძიმედ დაჭრილა. დაჭრილი ამხანაგებს გაუტაცნიათ და წასულან.

— როგორც „კავკაზი"-ი გადმოგვცემს, 30 ივლისს რაჭის მაზრაში **სვანებს მოუკლავთ ორი სტრაჟნიკი.** მკვლელები ვერ აღმოუჩენიათ.

— ბაქოდან გვატყობინებენ: სამშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს ცხრა საათზე, რემესლენი ქუჩაზე, **რევოლვერით მძიმედ დასჭრეს ჟანდარმის ვახმისტრი ზვონოვი.** დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

— გუშინ-წინ, 3 აგვისტოს, სომეხთა კათალიკოსის მინდობილებით, ეპისკოპოსმა ნაჰაპეტ ნაჰაპეტიანმა და არქიმანდრიტმა იუსიკმა ეგზარხოსს **საქართველოში ჩამოსვლა მიულოცეს.** ამავე დღეს და ამავე პირებმა სპარსეთის კონსულს მიულოცეს შაჰის დაბადების დღე.

— ამას წინად **სომხურ გაზეთის „ნორ-დარ"-ის რედაქტორ გამომცემელმა სპანდარიანმა** ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მისცეს მას ნება ამ გაზეთში მოათავსოს სურათები და სხვადასხვა მხატვრობა. როგორც „კავკაზ"-ი გადმოგვცემს, კავკასიის ნამესტნიკს ეს თხოვნა შეუწყნარებია.

— **ალექსანდროპოლიდან გვწერენ: დღეს დაუბრუნეს სომხებს წართმეული საეკლესიო მამულები.** ყველა სავაჭროები დაკეტილია. ქუჩები ხალხითაა სავსე. აქვე სტოლებია გაშლილი და ერთი მეორეს სასიხარულო ამბავს ულოცავენ. ქალაქის მოურავი ხალხს წინ დაუძღვის, ხალხი დროშებს დააფრიალებს და სხვადასხვა სიმღერებს ამბობს. ყველა გახარებულია.

— გურია-სამეგრელოს **ყოფილი ეპისკოპოსი დიმიტრი,** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, **დაინიშნა ტაშკენტის ეპისკოპოსად.**

— ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, ფუნიკულერის ზეით სადგურზე ტფილისის პოლკის პორუჩიკმა ლოგინ კარმენკომ სტრაჟნიკებზე ხმლით იწია, მაგრამ ხალხმა შეიკავა. კარმენკო, წვენების ჩამოსართმევად, მეორე საპოლიციო უბანში წაიყვანეს.

— **ტფილისის მაზრის უფროსის თანაშ. ი. გუგუშვილმა შეიპყრო ქურდების მთელი ბრბო,** რომელთაც მამედ-ოღლი-ოღლი მეთაურობდა.

— **ქალაქის გამგეობამ დაადგინა:** რადგანაც მეეტლეებმა ცხენებზე დაწესებული გადასახადის გადახდა დაიწყეს, ჯარიმა ნუღარ გადახდებათო.

— როგორც გუმბრიდან გვატყობინებენ 31 ივლისს, ადგილობრივ პოლკის ქვეითა ჯარის-კაცი გრიგოლ გრეისი გაქცეულა და თან სახელმწიფო თოფი წაუღია.

— მომავალ შემოდგომაზე მიიღებ რუსეთში სამხედრო სამსახურში სულ 475,346 კაცს გაიწვევენ. აქედან ტფილისის გუბერნიიდან 3402 კაცს, ქუთაისის გუბერნიიდან—3711, ერევნის გუბერნიიდან—2729, განჯიდან—1864, ბაქოდან—440, ბათომის —ოლქიდან—43 და ყარსის ოლქიდან—546. ამიერ კავკასიიდან სულ გაიწვევენ 12189 კაცს.

— სახალხო განათლების სამინისტროს მთავარმა დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ სამუსიკო სკოლების და კურსების დაარსების ნებართვა ამიერიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან უნდა ითხოვონო.

— იმ 132, 097 მანათიდან, რომელიც რკინის გზათა მთავარ გამგეობის განკარგულებით გადაიდო მოსამსახურეთათვის, ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ უკვე დაარიგა 21 097 მან. 11 კ. ამის შემდეგ სამმართველოში სხიჯრება ადიძრა, რადგანაც ბევრს მოსამსახურეს—იმედი გაუცრუებია.

— დიდი წვიმების გამო მე-305-ე ვერსზე, ბაქოსკენ, მდინარე დაჩინჩაიზე გადებული ხიდი დაზიანდა. მგზავრებს ამ ხიდთან მეორე მატარებელზე გადაჯდომა უხდებათ. საქონლის მატარებელთა მოძრაობა ჯერ-ჯერობით შეჩერებულია.

— ბორჩალოს მაზრის მემამულეს თ-დ ზაქარია [illegible] თაშვილს ვიღაცეებმა ორჯელ ესროლეს [illegible] ტყვია ასცდა.

— სოფ. ამბარლოში (ბორჩ. მაზრა) ამ სოფლის მცხოვრებთ ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ, ჩხუბის დროს აბრამ ფალიევი და ალექსი იგნატიევი მოუკლავთ.

წესდება

ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საკითხის განსახილველად ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლების კრებისა და რჩევების მოსაწვევად.

1) საერობო მეურნეობაში ცვლილებათა შემოსაღებად თითო გუბერნიაში (ოლქში) უნდა დაარსდეს ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლების სამაზრო (სათემო) და საგუბერნიო (საოლქო) რჩევები. ზაქათალისა და სოხუმის ოლქებში კი უნდა დაარსდეს მხოლოდ სათემო.

როდესაც გუბერნატორი დანიშნავს დროსა და ადგილს ამ რჩევებისათვის, განკარგულებას ახდენს რჩევათა მოწვევის შესახებ.

2) სამაზრო რჩევა უდა მოხდეს ამასთანავე ნაუწყებ ნუსხისამებრ და მონაწილეობას მიიღებენ არჩეულნი ა) კერძო მესაკუთრეთა, რომლებიც სოფლის საზოგადოებაზე არ არიან მიწერილნი, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა, პატრონთა და იმ გლეხ-მესაკუთრეთა, რომელთაც ნადელს გარეშე მაზრაში თავისი კეთილშენაძენი მამულიცა აქვთ. ბ) ქალაქთა და გ) სოფლის საზოგადოებათა. ამ რჩევაში წევრთა უფლებებით მონაწილეობას იღებენ: ხარჯის ამკრები ინსპექტორები, მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწესრიგებელის უწყების წარმომადგენელი, საუფლისწულო მამულების წარმომადგენელი და მაზრის ყველა მომრიგებელი შუამავალნი.

3) პირველის ჯგუფის (ა) წარმომადგენელთა ასარჩევად უნდა მოხდეს ერთი წინასწარი და ორიც საარჩევნო კრება.

4) ამ კრებაზე ნება აქვს დაესწროს ა) ყველა მემამულე სახელმწიფო პალატის სიაში აღნიშნული ბ) ქალაქ გარეშე მყოფ უძრავ ქონებათა პატრონები, რომელთა მამულებიც (ბაღები, წისქვილები, ქარხნები და სხ.) შეფასებულია არა ნაკლებ 15 ათასის მანათისა და გ) იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები, რომელთაც 1905 წელს აუღიათ სავაჭრო მოწმობები 1 და 2 ხარისხისა და სამრეწველო 1, 2, 3, 4 და მე-5-ე ხარისხისა. თუ მოწვეული თითონ კრებას არ დაესწრო, სხვას ხმას ვერ გადასცემს.

შენიშვნა: ა) შავი ზღვის პირა გუბერნიასა, სოხუმისა და ბათომის ოლქებში საარჩევნო კრებებზე მონაწილეობას იღებენ ეგრედ წოდებულ კულტურულ და საკარგო მამულების პატრონები.

ბ) ბათომისა და ყარსის ოლქებში ამ კრებებზე მონაწილეობის ნება ეძლევათ აგრეთვე იმ მესაკუთრეთ,

ფელეტონი

შებრალება

(მაქსიმ გორკისა)

ბნელსა და შმორიან სატუსაღოში მზის სხივი ჩაპარულა და ქუჭყიან იატაკს დაბჯენია.

კარპ ბუკოემოვი გრძელ ტახტზე გულაღმა წამოწოლილა და სხივს დაშტერებია, რომელშიაც მტვერი ოქროს ფრად ირევა და ბუზები ზანტად ფუთფუთობენ,—ვინ იცის, იქნება, ამ დროს აგონდება მკვირცხლი მერცხალი, უსაზღვრო ცის კამარაში ლაღად რომ დასრიალებს.

მახინი და შიშოვი მოხუცის გვერდით ჩაცუცქულ-დაჩოქილები შარუქვას თამაშობენ დასორსლილ პურიგულის პაიკებით. ხრამოი კი ფანჯარასთან დაფლეთილ პერანგს იკონკებს და ღიღინებს:

> დღე უსაქმოდ გავატარე,
> ფული სულ შემომელია...

თან თავის ხის ფეხით აბაკუნებს და სიმღერის ჰანგს აყოლებს.

— თამაშობა არა გცოდნია, მახინ!—ზიზღით შენიშნა ბუკოემოვმა.—შენ მარცხნივ წასწიე, შიშოვ!

— მეც ვიცი,—წაიხრიალა შიშოვმა და უჯრედს უცქრო დააცქერდა.

> მიჯნური ჩხუბობს მშიერი,
> ხვრინავს, თუ გამაძღარია...

არ იშლის თავისას ხრამოი.

— ფუჰ!—იფურთხება ბუკოემოვი. სიმღერამ გააბეზრა, თითქო ყურში უზუზუნებენ და უჩხუხუნებენო. მოხუცმა პირი იბრუნა ხრამოისკენ და დააცქერდა იმის სახეს—წოწოლას, გაფითრებულს, სუფთას. შავგვრემანი, წვერ-შეუკრეჭელი და გძელ-თმიანი ახალგაზდა ხუცესსა ჰგავს. მისი შავი თვალები წყნარად და დაკვირებით აცქერდებიან ყველაფერს; უთავბოლო ლაპარაკი არ იცის, თითქმის არაოდეს არ იცინის და არც იღიმება. ციმბირს სამუდამოდ იყო გადასახლებული,—ვიღასთვისაც სახლკარი გადაეწვა,—მაგრამ სამჯერ გაიქცა სამშობლოსკენ. მეორედ რომ გაქცეულა, მხოლოდ პერმამდე მიუღწევია, იქ დარაჯად დამდგარა რკინის გზაზე და ნახევარი წელიწადი მშვიდად გაუტარებია. მაგრამ ერთხელ ღამე ქურდები შეპარულან სადგურში და იმისთვის რკინის ჯოხი უთხლეშიათ თავში. წაქცეული დარაჯი უგონოდ გდებულა ყინვაში და ფეხი დასძვრია. საავადმყოფოში გაუგიათ, რომ ის ლტოლვილია, მოჭრილ ფეხის მაგიერ ხის კუნძი მიუბამთ და ისევ ციმბირს გადუსახლებიათ. ცალფეხა მაინც გაქცეულა კიდევ და კალუგამდე მისულა, მაგრამ იქ ისევ ბადეში გაბმულა.

ამ კაცს დიდი მანძილი გადუზომია დედამიწის ზურგზე, ბევრი რამ უნახავს და გაუგონია, მაგრამ არა სიმღერა ისე სასიამოვნოდ არ დარჩენია, როგორც ეს ერთი მაბეზარი ჰანგი და უაზრო სიტყვები:

> მე იმას მივატოვებდი,
> მაგრამ სხვა ვერ მიშოვნია...

ტანდაბალსა, მაგრამ მოხდენილად ტანჩასხმულს რაღაც სიჯიქე, სიკერპე ეტყობა; მისი უმოძრაო თვალები ცივად გამოიპრწყინებიან. ბუკოემოვი ცოტა ხანს დააცქერდა, მაგრამ მალე მოსწყინდა და სიმღერის შეწყვეტის სურვილიც გაუქრა; ნელ-ნელა ისევ იბრუნა პირი, ჭერს დააშტერდა და კრიჭა-შეკრულმა წაიდუდუნა:

— ოჰ, მომბეზრდა თქვენთან ყოფნა, წყეულნო!

ტანადს, თვალადს, სახე-აწითლებულ მახინს შუბლი შეუკრავს, ქვემო ტუჩს იკვნეტს, თვალი ვერ მოუშორებია უჯრედისთვის, რომელიც ტახტზეა გამოხაზული, და უსიტყვოდ, ხელის კანკალით ამოძრავებს პაიკებს. შიშოვი კი ფრთხილად თამაშობს, დიდხანს ფიქრობს, მელოტ თავზე ხელს ისვამს, მოწითლო წარბები აქვს და დაქვს, ხუნუშის და თავმომწონედ წვერზე ხელს ისვამს. ის ტანსხვილია, დარგვალებული, სახე გაფუებული აქვს და მოწითლო...

— ორივენი ცუდად თამაშობთ!—გადაჰკრით ამბობს ბუკოემოვი და აუჩქარებლად პაპიროზს იკეთებს.

> სამშობლოში წავიდოდი,
> სად არის ვერ მიმიგნია!..

ღიღინებს თავისთვის ხრამოი.

— ეს სულ უნდა იღრინებოდეს, როგორც მშიერი, ჯაჭვით დაბმული ძოფაკი,—ჭაღარა წარბების შეჭმუხვნით ამბობს ბუკოემოვი.

პასუხს არავინ აძლევს.

დერეფანში ჩოჩქოლია, ხმაურობა თანდათან ახლოვდება. იქ სტაროსტა მოწყალებას ურიგებს, რაც ამ დღეს ვისგანმე მოსვლიათ—კვერი, ხმიადი, თეთრი პური, კვერცხი.

ვიღაც წრიპინით ილანძღება. ისმის ხრინწიანი ხმაც:

— წყეილი, ორი, სამი...

— შენ სად წამოთათხე ხელი? არ გყყო, შე არამზადავ?

— კისერში წაჰკა!—ურჩევს ბოხი ხმა.

ბუკოემოვს თვალი პაპიროზისთვის დაუშტერებია და სწევს; მისი მოუხეშავი სახე, როგორც შავი რკინა, გაშეშებულ-გარინდულა. ლურჯ-ყომრალი ბოლი ჭაღარა წვერს, სახესა და თმას მოსდებია და მთლად თავი კლდეს დამსგავსებია. ის ორმოცდაათის წლის კაცია, მაგრამ ჭარმაგია—არც ერთი კბილი არ აკლია, თმა არ შეთხელებია, ძალ-ღონე, ხმა არ შესუსტებია. ნაცრის ფერი ტანისამოსი არ აუშნოებს, ბორკილი არ აწუხებს. ის თითქო კოხტაობს კიდეც და წკრიალით აჩხარუნებს ბორკილს. დარბაისლური შეხედულობა აქვს, სისუფთავე და წესიერება უყვარს და, ცოტა არ იყოს, ამპარტავნობაც ემჩნევა.

როგორც თითონ ამბობს, პირველად ოცდაექვსის წლისა გაუგზავნიათ კატორღაში, რადგან ორი კაცი ერთად შემოკვდომია. გზაზე გაქცეულა და სამი წელიწადი ყაჩაღობდა. დაიჭირეს და სახალინზე უვადოდ გადასახლება მიუსაჯეს. ცხრა წელიწადი იქა ყოფილა, მერე გამოქცეულა და „თავის ხელობით" ცხოვრობდა. მეორედ ციმბირში დაიჭირეს, მაგრამ სხვა სახელი დაურქმევია, წელიწადი ტობოლსკის გუბერნიაში გაუტარებია, როგორც მოსახლეს, მერე რუსეთში გაპარულა. ეხლა კი, მრავალ ძარცვა-მკვლელობის შემდეგ, ისევ სახალინისკენ მიჰყავთ, სადაც სამუდამო კატორღა და მათრახი მოელის...

— ხრამოი, წადი, მოწყალება მიიღე!—უფროსის კილოთი ეუბნება ბუკოემოვი.

ხრამოი წამოდგა, შეხედა, პერანგი დასდო და კარებისკენ ლახლახით წავიდა. ხის ფეხი მაგრა აბაკუნებს და თავზე თმა უხტის.

— მორჩა!—კმაყოფილად წამოიძახა შიშოვმა და თან ხორციანი, წითელ ბეწვით შემოსილი ხელები მოიფშვნიტა. მახინი წყენით იღიმება, პაიკებს აგროვებს და თან წვრილის ხმით, რომელიც იმის ღონესა და მხარბეჭიანობას არ უხდება, შიშოვს ეუბნება:

— ძალიანაც თავს ნუ გამოიდებ... მაგდენი რომ ვიფიქრო... მე ჩქარა ვთამაშობ.

— სულელი!—გადაჰკრით ამბობს ბუკოემოვი.—კაი ვინმეები კი არიან, მაგათმა მზემ... ერთს ფეხი გახევებია, მეორეს—გოგრა...

შიშოვი ტახტიდან ძირს უხერხულად მიფოფხავს და ჩასუქებულ ტანს სიცილ-ხარხარით აყვანყვალებს; ლიპი ადის და დადის, ჩასუქებულ თვალებს ხუჭავს, როგორც მაძღარი კატა. იმის მოკლე მუხლებზე ბორკილი ხახუნობს, იხვლანჯება, მოძრაობას უშლის. ის მთლად ერბოს გუდასა ჰგავს, რომელიც თითქო დნება და, აი, ამწამს იატაკზე ფლამუშსავით გაიშლებაო.

ბუკოემოვმა დინჯად გააქრო პაპიროსი, გააფურთხა, შიშოვს დააცქერდა და ზიზღით დასცინა:

— მძორო!—კიდევ გააფურთხა,—შენ მალე ჩაძაღლდები... მაგ გულს ქონი ამოახრჩობს და ისე მოკვდები, როგორც ნეხვის ჭია...

შიშოვმა მოწიწებით გაიცინა, ხრამოის კვერი გამოართვა, ყველა მხრიდან მადიანად თვალი აავლო და პირი გაალო კიდეც, წვრილ და თეთრ კბილებით სავსე.

— მოიცა!—დაუძახა ბუკოემოვმა,—ეხლა ხომ არა გშია?

— არა... მერე რაო? განა ვერ მოვერევი!—ამბობს შიშოვი და თან მორიდებით ხითხითებს. მოხუცის წინ გაჩერებულა და ორთავე ხელით კვერი ნიკაპთან უჭირავს.

— მო-ვე-რე-ვი!—გააჯავრა მოხუცმა იმისთანავე ხრინწიანი ხმით,—მაგდენი ჭამა ხომ არ გარგებს... თან გადაჰყვები. შენ უნდა მოიშიო... მოგიგროვებია ქონი, როგორც ძუნწს ფულები, და სულს გიხუთავს... სულელო, დუნდულა!

ის შიპოვს თვალს არიდებს. იმან კი წამწამი ჩქარ-ჩქარა აახამხამა და კვერს დაჰყურებს. მერე ტახტზე აფოფხდა, კუთხეში მიგორდა და ნელა, მადიანად დაიწყო ჭამა და თან ცდილობდა, მისი წლაპუნი არავის გაეგონა...

> ბაიკალი ფართო ზღვაა,
> თევზის კათხა გემიაო..

ღიღინებს ისევ მახინი ფანჯარასთან.

— არ გინახავს და აქებ!—ღიმილით ამბობს ბუკოემოვი.

ხრამოვი ფანჯარასთან მივიდა, მახინი ხელით ჩამოაყენა, დაჯდა და ისევ პერანგს მოჰკიდა ხელი.

ბუკოემოვი სათითაოდ ყველას ათვალიერებს და წარბ-შეჭმუხვნილი თავსა ჰხრის. ისმის სევდიანი სიმღერა, ძაფს შრიალი გააქვს, შიშოვი თავდავიწყებით აწლაპუნებს. მოხუცი აცქერდება. შიშოვი პირღია დარჩა, კვერი ცხვირთან გაუშეშებია, რაღასაც ელოდება.

ბუკოემოვი იცინის ნელა, რაღაცნაირად, თითქო ყელში შუშები ემსხვრევაო.

— აი, შე მეწვრილმანე, წითელო პირუტყვო,—დაცინვით ეუბნება შიშოვს: ქცევითაც საზიზღარი ხარ, როგორც ჩარჩი, მეწვრილმანე... იყიდე პატარა გოგო, როგორც, ვთქვათ, დაკლულ ცხვარსა ყიდულობდი, და გასრისე მოზარდი ბავშვი... შე საზიზღარო!

შიშოვმა ამოიოხრა და ისევ ჭამა დაიწყო. ეხლა კი მახინი იცინის, საამურად, ჰაბუკურად. ხრამოი თავჩაღუნული აკონკებს.

— ვცხოვრობ თქვენში,—ამბობს შუბლ-შეკრული მოხუცი,—როგორც თხა ცხვრის ფარაში... და მომბეზრდით ყველანი, როგორც თვალის ბისტი... მომწყინდა აქ ყოფნა, თუმცა მარტო ორი კვირაა ვარ თქვენთან...

— გვიამბე რამე, კარპ ივანიჩ!—სთხოვს მახინი, რომელიც მიუახლოვდა და ტახტზე გვერდით მოუჯდა.

— აი, ხრამოი,—ეუბნება თვალ-მორიდებით მოხუცი,—შენ ამბობ, სახარებაში ნათქვამია, ადამიანები თანასწორნი არიანო... აბა, შენ სიმართლით მითხარი—ეს ორნი განა ადამიანები არიან? და მეც განა მაგათა ვგევარ?... არა, მე არა ვგევარ... და არც შენ ჰგევხარ... თუმცა შენ უფეხო ხარ, მაგრამ მტკიცე ხასიათი გაქვს... შენ წინააღმდეგობა შეგიძლიან... შენ გიბრძანებენ, ციმბირში იცხოვრეო!.. შენ კი არა გსურს და, აი, გარბიხარ... ეს კარგია... ცალი ფეხითაც კი გაიქეცი... ძალიან კარგია, დიაღ!.. ეს მახინი კი, აბა, რა არის? რად, როგორ არსებობს? ღიპიანი მედუქნე დაჰკლა, ეტლი დაიჭირავა და მოკურცხლა... მერე სად მირბოდა? თითონაც არ იცოდა... შიშით აღარ იცოდა, რა ექნა... აიღო და მეეტლეს—თხლაშ!—დანა ყელში აძგერა... რისთვის? ეგეც გაუგებარია...

— შიშით მომივიდა,—დარცხვენილის ღიმილით უპასუხებს მახინი და თან შავს ხარისებურ თვალებს ახამხამებს.

— აბა, რად, რისთვის?

— ის სულ უკან-უკან იყურებოდა, ამბობს მახინი იმ კილოთი, თითქო დანაშაულობასა გრძნობსო,—მიდის, მიდის, მიდის და მოიხედება... მეც ავიღე და...

— ბრიყვო! წყნარად და ცივად გადაჰკრა ბუკოემოვმა და ისევ პაპიროზის კეთებას შეუდგა.

— ყველაფერს მოხერხება უნდა... განაგრძო იმან, როცა პაპიროსს მოუკიდა.—თუ ჩასუქებულსა ჰკლავ, სულ უნდა გაშიშვლდე... იმას, ჩასუქებულს, ყოველთვის სისხლი მოჭარბებული აქვს... გაგწუწავს, სისხლში შეგღებავს—და დანაშაულობა ცხადია... ტიტველა კი—რო გაიწუწო კიდეც—ჩვარს აიღებ, მიისვ-მოისვამ და გასუფთავდები კაცის თვალში...

— ღვთის წინაშე?—დაბალის ხმით შეეკითხა ხრამოი. არ შენძრეულა, თავი არ აუღია და ჰანგითაც არ მიუხვედრებია, ჰკითხავს თუ ცნობის მოყვარეობა ალაპარაკებს...

— რაო?—ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ბუკოემოვმა.

— მე ვამბობ—ღვთის წინაშე როგორ-ღაო?—იმეორებს ხრამოი და თავის საქმეს თავს არ ანებებს.

მოხუცი აცქერდება, თავს აქნევს და ამბობს:

— არა, ხრამოი, ადამიანები ერთნაირები არ არიან... ბორკილი ზოგს ფეხებს გადუხლართავს და სულს კი უთავისუფლებს; ზოგს კი სულს შეუჯაჭვავს... მაგრამ ამის გამგები ვინ არის!..

— კარპ ივანიჩ!—ეუბნება მახინი წყნარად და ცნობის-მოყვარეობით.

— რაო?

— ბევრი მოგიკლავს?

— ბევრი?—მოხუცის ცივი თვალები მახინის სახეს დაეძგერა. ახალგაზდამ ვერ გაუძლო, მხრები შეიშმუშნა, თითქო შემაცივნაო, და პირგაღებულმა გვერდ-გვერდ გაჰხედა მოხუცს, აცა რას იტყვისო... ტახტის ბოლოს შიშოვი ქშინავს.

მოხუცმა მახინს ამაყად მხარზე თავისი მძიმე ხელი დაადო, მძლავრი და მოქნილი თითები აათამაშა ყრმის ზურგზე და უპასუხა:

— ბევრი!.. როგორ ბევრი—არ მახსოვს... რად გინდა, რას კითხულობ?

— ისე... მინდოდა... უაზრო ღიმილით ამბობს მახინი.

მოხუცმა ოდნავ ხელი ჰკრა და მოიშორა.

— აი, შე... ცუგავ!..

— იმათი სახეები გახსოვს?—ეროვნაშად შეეკითხა ხრამოი.

— რა სახეები?

— ვინც დაგიხოცია...

— არც ერთის სახე არ მახსოვს... მომეტებულად ღამ-ღამობით მომსვლია... მშვიდად უპასუხა მოხუცმა.

— მე კი არა მჯერა... არა მჯერა, რომ შენ

რომლებიც სოფლის საზოგადოებებთან ერთად მამულის ხარჯს იხდიან.

გ) ის მესაკუთრენი, რომელთა მამულიც სხვადასხვა მაზრებშია გაფანტული, ესწრებიან იმ მაზრის საარჩევნო კრებას, რომელსაც თითონ ამოირჩევენ. თუ მოსახერხებელი იქნება კრებებს ყველა მაზრებში შეუძლიანთ დაესწრნენ.

5) საარჩევნო კრებების წევრნი უნდა მოიწვიონ იქ, სადაც სათავად-აზნაურო დაწესებულებანია—მარშლებმა, დანარჩენ ადგილებში კი მაზრის უფროსმა, თუ საჭირო იქმნება სოფლის მოხელეთა დახმარებითაც.

6) წინასწარი კრება პირველ ყოვლისა უნდა შეუდგეს სახაზინო პალატის მიერ შედგენილ სიის შემოწმებას. ეს სია შეიძლება შესწორებულ იქმნეს. სიაში ახლად ჩასაწერად საჭიროა დოკუმენტების წარმოდგენა, ან მეზობლების მიერ შემოწმება. ამავე სიაში უნდა აღინიშნოს მესაკუთრეს განათლების ცენზი და აგრეთვე—იცის თუ არა მან რუსული ენა.

როდესაც სია შემოწმებულ იქმნება და კრების წევრთა ვინაობა ნამდვილად გამოირკვევა, კრება უნდა გაიყოს ორ ნაწილად. პირველ ნაწილში—იქმნებიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ის მემამულენი, რომელთა მიწაც დასახელებულ მაზრაში ზომით აღემატება 72 დესეტინას (200 ქცევას), განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიის ის მემამულენი, რომელთა მიწაც ზომით 100 დესეტინა და მეტიცაა და აგრეთვე ის მესაკუთრენი, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან ამ წესდების მე-4 სტატიის 2 და 3 მუხლებში. მეორე ნაწილში იქნებიან, ისინი ვისაც ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში 200 ქცევაზე ნაკლები მიწა აქვთ, ხოლო განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში—100 დესეტინაზე ნაკლები.

შენიშვნა, მავიზღვის პირა გუბერხიასა და აგრეთვე ბათომისა, ყარსისა, დაღესტნისა და ზაქათალის ოლქებში კრების ასეთი დანაწილება არ ხდება.

7) კრების დანაწილებას შემდეგ მსხვილ და წვრილ მემამულეებად, არსდება ორი საარჩევნო კრება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ წესდებით ნაჩვენებ რიცხვის წარმომადგენელთა არჩევანებს.

შენიშვნა, თუ კრებას მარტო იმდენი კაცი დაესწრო, რამდენიც უნდა არჩეულ იქმნენ, ყველა დამსწრე არჩეულად ითვლება.

8) თვითმმართველობიან ქალაქის წარმომადგენლებს ირჩევს ქალაქის საბჭო ანუ რწმუნებულთა კრება. იმ დაბა-ქალაქებში კი სადაც სრული თვითმმართველობა არაა,*) წარმომადგენლებს ირჩევენ სახლის პატრონები და ვაჭარ-მრეწველები.

9) სოფლის წარმომადგენელთ ირჩევს სოფლის ყრილობა, მაზრის უფროსის წინადადებით. ხოლო როდესაც რამდენიმე სოფლის საზოგადოებათ ერთი წარმომადგენელი ჰყავთ ამოსარჩევი, მაზრის უფროსი უჩვენებს, რომელ სოფელში შეიკრიბნონ. წარმომადგენლობის არჩევნების შესახებ უნდა დადგინდეს „პრიგოვორი“ რომელიც მაზრის უფროსს გადაეცემა.

10) სამაზრო რჩევებზე დასასწრებლად არჩეული წარმომადგენელნი იკრიბებიან იმ დღეებში, რომელთაც გუბერნატორი წინდაწინვე აღნიშნავს და გამოაცხადებს.

11) სამაზრო რჩევებმა უნდა განიხილონ:

1) პინად-მფლობელთა სიები და არჩეულთა რწმუნებულების საბუთები.

2) უნდა განიხილონ საკითხი საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და თავისი აზრი გამოსთქვან.

ა) შეიძლება თუ არა შემოღებულ იქმნეს საერობო დებულება 1864 წლისა (ვიდრე სრულიად რუსეთისათვის ახალი საერობო დებულება შემუშავდებოდეს), საჭიროა თუ არა ამ დებულების ზოგიერთა მუხლების შეცვლა ადგილობრივ პირობათა მიხედვით და საჭიროა თუ არა ვისარგებლოთ 1980 წელს გამოცემულ დებულებითაც.

ბ) მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა ცენზის რაოდენობა.

გ) რამდენი ხმოსანი უნდა იყოს სამაზრო საერობო კრებასა და რამდენი-საგუბერნიო კრებაზე.

და დ) აარჩიოს ერთი წარმომადგენელი ნამესტნიკის საბჭოში დასასწრებლად კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის გარჩევის დროს.

12) სამაზრო რჩევის დასრულებისას, ამ რჩევის ყველა ოქმები უნდა წარედგინოს მაზრის უფროს გუბერნატორის გადასაცემად.

13) პირველ ჯგუფის (მე-3 მუხლი ამ წესდებისა) წინასწარ და საარჩევნო კრებების და აგრეთვე სამაზრო რჩევების თავმჯდომარად ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში—უნდა იყვნენ მარშლები, ანუ მათი მოადგილე. დანარჩენ ადგილებში კრებებს ხსნის მაზრის უფროსი და მერე წინადადებას აძლევს, რომ თავმჯდომარე ამოირჩიონ.

14) საგუბერნიო (საოლქო) რჩევის წევრებად ითვლებიან სამაზრო რჩევისაგან არჩეული წარმომადგენელნი, სახაზინო პალატის მმართველი, (ანუ მისი მოადგილე-რწმუნებული) მიწად მოქმედებისა და საუფლისწულო უწყებათა წარმომადგენელნი და საგუბერნიო ქალაქის მოურავი.

15 საგუბერნიო რჩევებს ხსნის გუბერნატორი ანუ მისი მოადგილე, თავმჯდომარეობს (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) გუბერნიის მარშალი, ანუ მისი მოადგილე. ხოლო თუ ესენი კრებებს ვერ დაესწრნენ, გუბერნატორის წინადადებით, კრება თავმჯდომარეს ირჩევს. კრება ირჩევს თავმჯდომარეს კავკასიის დანარჩენ ადგილებშიაც.

შენიშვნა, თავმჯდომარის ამორჩევის შემდეგ გუბერნატორი აბარებს მას ყველა მასალას რჩევისათვის და რჩევა მსჯელობას იწყებს.

16) საგუბერნიო რჩევას ევალება: 1) წარმომადგენლების მინდობილებათა განხილვა, 2) განხილვა სამაზრო რჩევათა მოსაზრებებისა კავკასიაში საერობო მეურნეობის რეორგანიზაციის შესახებ და თავისის აზრის გამოთქმა იმ საკითხების შესახებ, რომელნიც აღნიშნულ არიან მე-11 მუხლის მე-2 წ. 3), თავიანთ შორის არჩევა ერთის წარმომადგენლისა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ნამესტნიკის საბჭოში ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ საკითხის განხილვის დროს.

17) როცა საგუბერნიო (საოლქო) რჩევა საქმეს დაამთავრებს, სამაზრო რჩევების მიერ შეკრებილი მასალები და საგუბერნიო რჩევის ოქმები უნდა გადაეცეს გუბერნატორს (ოლქის უფროსს), რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს ნამესტნიკის კანცელარიას.

18 კრებებსა და რჩევებში შემდეგ წეს-რიგით უნდა იხელმძღვანელონ!

1) წარმომადგენლებისა, თავმჯდომარეთა და მდივნების არჩევნები ისეთი წესით უნდა მოხდეს, როგორიც თვითონ კრებას უნდა.

2) წარმომადგენლობისა, ან თავმჯდომარის არჩევამდე, კრება ირჩევს მდივნებს, რომელთაც უნდა აწარმოვონ კრების ოქმები.

3) კრების ოქმებს უეჭველად ხელი უნდა მოაწერონ თავმჯდომარემ, მდივნებმა და კრების იმ წევრთ, ვისაც ხელის მოწერა სურს

4) კრებებისა და რჩევის ყველა წევრთ თანასწორი უფლება აქვთ და შეუძლიანთ სრულიად თავისუფლად ილაპარაკონ და აზრის გამოთქმის დროს არავითარ ფორმას არ დაერიდონ.

5) ყველას უფლება აქვს დაესწროს კრებებისა და რჩევების სხდომებს, ხოლოდ კამათში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.

6) საარჩევნო კრებისა და რჩევის თავმჯდომარენი მოვალენი არიან იზრუნონ წეს-რიგზე, ამისთვის მათ შეუძლიანთ, ისარგებლონ იმ უფლებებით, რომელნიც აღნიშნულ არიან 179—191 მუხ. მე II ტ. საგ. დაწ.

7) საარჩევნო კრებები და რჩევანი კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

8) კრების გათავების შემდეგ, საარჩევნო კრებებისა და სამაზრო რჩევის მასალები და ოქმები დაუყოვნებლივ იგზავნება გუბერნატორთან საგუბერნიო (საოლქო) რჩევისათვის.

9) ადგილობრივ ენებზე დაწერილი და რჩევებში წარდგენილი მოსაზრებანი და სხვ. რუსულადაც უნდა იყვნენ გადმოთარგმნილი.

10) თუ ვინიცობაა რაიმე შემთხვევისა გამო 15 აგვისტომდე და 1 სექტემბრამდე საგუბერნიო რჩევების კრებები არ მესდგა, კრება შეიძლება მხოლოდ ორის კვირით გადაიდოს.

*) ზუგდიდი, ართვინი, სალიანი, შემახა, ორდუბათი, ყარსი, არდაგანი, ყაღიზმანი, ოლთისი, გერიუსი, ზაქათალა და რედუთ-კალე.

ინგლის-გერმანიის დამოკიდებულება და მუშათა შეთანხმება.

დამოკიდებულობა ოფიციალურ ინგლისისა და გერმანიის შორის დრო-და-დრო იცვლება. მას შემდეგ, რაც ვილჰელმ მე-2-მ ისტორიული სიტყვები წარმოსთქვა: „გერმანიის მომავალი ძლიერება ზღვაზე იქმნებაო“ და ფლოტის გამრავლება-გაძლიერებას შეუდგა, ინგლისის მთავრობას ძილი გაუკრთა. ინგლისმა იგრძნო, გერმანია ამ გზით მალე მოიხვეჭს სავაჭრო-მიცემო ძალ-ღონეს და მის ზღვაზე მეფობას მეტოქეობას გაუწევს, ფრთებს შეაკვეცავს. ამ დღიდან იგი ჩამოშორდა გერმანიას და საფრანგეთს მოუახლოვდა, დაუახლოვდა. იმდენად შეიცვალა ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება, რომ ინგლისის ფლოტს, რომელმაც დამანშიდან ბალტიის ზღვაზე გამოისეირნა, საფრანგეთი მხედრულად აღარ აღუშფოთებია, და ეს გასეირნება მას თმის წინამორბედად არ მიუჩნევია.

გერმანიას კი გულში უხვდება ამ „სეირნობამ“ და აშკარად აგრძნობინა მას, რომ ეს გერმანიის მაროკოს საქმეში ცბიერის პოლიტიკის სასჯელი იყო.

გერმანიის ბოლოხანების მოქმედებამ ინგლისი დაარწმუნა, რომ გერმანიას თმი სწყურიან და ფიცხელ მზადებაშიც არის. ამას ის საბუთიც ამტკიცებს, რომ გერმანია, რუსეთის აღმოსავლეთ ნაპირებზე, სამხედრო ნავთსადგურს აგებს და თავის სამხედრო ძალას ზღვაზე სხვადასხვა ადგილებში ჰგზავნის.

ინგლისმა ერთი არ იცის მხოლოდ: გერმანია ინგლისის წინააღმდეგ ეპირება თმს თუ არა. ბალფურს ეს აზრი სიცილადაც არ ეყო; ფელდ-მარშალი რობერტსი კი სხვანაირად უცქერის საქმეს და აშკარაა, ეფიქრება გერმანიის იერიშისა ინგლისის მიწა-წყალზე. ამ დღეებში რობერტსმა ლონდონის ლორდ-მერთა დარბაზში, ინგლისის სავაჭრო-მიცემო პალატის კრებაზე, სიტყვა წარმოსთქვა ამ საკითხის გამო. **მან აღნიშნა ინგლისის დაქირავებულ ჯარის უვარგისობა და ურჩია საყოველთაო სამოქალაქო მილიციის შედგენა, როგორიც შვეიცარიაშია.** აქედან ცხადია, რომ რობერტსის აზრი შემოსეულ მტრის მოგერებას შეეხება. დაქირავებული ჯარი უცხო ქვეყნების დაპყრობისას ვარგა, ხოლო ვინ დაიცავს სავათარს მიწა-წყალს ისე თავგამოდებითა და თავგანწირვით, როგორც სახალხო მილიცია!..

ინგლისის ოფიციალური წრეები მტრის მოსაგერებლად ემზადებიან. ინგლისის სამხედრო წრეები რობერტსის აზრს ემხრობიან...

ხალხი კი სულ სხვას ფიქრობს...

ყველამ იცის, რომ როგორც ყველგან, ინგლისშიაც მუშათა ხალხის პოლიტიკური მისწრაფებანი რამდენსამე დარგად იყოფება. მაგრამ წარსულს წელს, ამსტერდამის საერთაშორისო მუშათა კონგრესზე, სხვათა შორის ერთი საყურადღებო საკითხიც წამოაყენეს ინგლისის დელეგატებმა: შესდგეს გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც საერთაშორისო დამოკიდებულებას განიხილავს და აქტიურ მონაწილეობასაც მიიღებს მასშიო...

ბევრი შრომისა და მეცადინეობის შემდეგ, ასეთი კომიტეტი ამ დღეებში შესდგა. მონაწილეობას იღებდნენ: სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია, მუშათა დამოუკიდებელი პარტია, მუშათა წარმომადგენელთა კომიტეტი, ფაბიანელები და რამდენიმე სხვა მოწინავე ტრედ-უნიონები.

პირველი ნაბიჯი და დადგენილება ამ კომიტეტის მოქმედებისა, რომელიც გაზეთებში გამოაქვეყნეს, შემდეგია:

„ინგლისის ორგანიზაციების დელეგატთა კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქმნა ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესზე, გულითადს შეწუხებას აცხადებს იმ განხეთქილებისა გამო, რაც ინგლის-გერმანიის მმართველ წრეთა შორის დღითი დღე მწვავდება. კომიტეტს კარგად ახსოვს, ასეთივე საქმის გამწვავება ინგლის-საფრანგეთის მთავრობის შორის, ამ ხუთის წლის წინად, რომელიც დღეს მეგობრულის ხელშეკრულებით შეიცვალა.

ამის გამო კომიტეტი თავისს ორგანიზაციათა სახელით საყოველთაოდ აცხადებს:

1) ინგლისის მუშათა კლასი გერმანიის ხალხს მტრულის თვალით არ უცქერის და სურს, რომ მთავრობამ გერმანიასთანაც ისეთი მეგობრული განწყობილება იქონიოს, როგორიცა აქვს საფრანგეთთან.

2) ინგლისის მუშა-ხალხი ყოველის ღონით ცდება, ინგლისის კაპიტალისტები აიძულოს, რომ მათ თავისი მტრობა გერმანელებისადმი აღკვეთონ, და ერთი ხალხი მეორეზე არ ასისინონ.

3) ინგლისის მუშათა პარტიები აიძულებენ მთავრობას, რომ გერმანიასთან ყველა სადავო საკითხებში მშვიდობიანად მორიგდეს.

4) ინგლისის მუშა-ხალხი მოუწოდებს თავისს გერმანელ ამხანაგებს, რომ მათაც ფრთხა შეაკვეცონ შოვინისტურს გრძნობას და თავის მოძმეთა შორისაც იქადაგონ, რომ ორისავე ხალხის საკეთილდღეოდ იქმნას მიმართული მთელი ძალ-ღონე“.

ცხადია, რომ როგორც ინგლის-საფრანგეთის, ისე ინგლის-გერმანიის მუშა-ხალხი მეგობრულად აწვდიან ერთმანეთს ხელს და მშვიდობიანობის დამყარებას ესარჩლებიან... (ს. თ.)

რუსეთი

ვარშავაში **მოჰკლეს** პრივისლიანიის რკინის გზების უფროსი, ინჟენერი ფონ-მეიერი. განსვენებულს მრავლად მოსდიოდა მუქარის წერილები, მაგრამ ის ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თებერვალში გაფიცვისა და საერთო აღელვების დროს, კუბოც მიუგზავნეს და გააფრთხილეს, მაგრამ იმან თავისი მაინც არ დაიშალა. განსვენებული წინა დღით სხვაგან გადაიყვანეს. მეიერმა ხუთშაბათს გამოაცხადა ხვალ, პარასკევს, უკანასკნელად მოვალ სამსახურშიო და ზეგ უნდა წავიდეო. მაგრამ სწორედ იმ დღეს მოჰკლეს. (რ. ს.)

ვორონეჟში ძალაუნებურად მოისპო ჟურნალი „მედიც. ბესედა“, რომელიც 19 წლის განმავლო-

---

კაცი შემოგკვდომოდეს... თავის ქნევით, დარწმუნებით ამბობს ხრამოი.

ბუკოემოვი შეჰყურებს და უხმოდ ხითხითებს.

— აი, გამომძიებლებსა და პროკურორებსაც რომ არა სჯეროდეთ, ჰო, მაშინ არა უშავდარა. შენ კი გჯერა თუ არ დაიჯერებ, ჩემთვის სულ ერთია... მაშ ეს თხუთმეტი წელიწადი ბორკილს რად ვაჩხარუნებ—როგორა გგონია?

დერეფანში ხმაურობაა, სიცილი, კასკასი, წრიპინი—მცირეწლოვნები შემოურეკნიათ ეზოდან.

— ნუ ჰყავით, წყეულნო!—ისმის ზედამხედველის ბძანება.

კარის ბრახუნი გაისმა, რკინის ურდულისა და კლიტე-გასაღების ჭრიალი და ხმაურობა თანდათან მისწყდა.

— და არ გებრალებოდა ხალხს რო ქლეტდი?—ხრინწიანის ხმით ჰკითხავს კუთხიდან შიშოვი, რომელსაც კისერი წაუგძელებია და ჩასუქებულ თვალებს მოკრძალებით ანათებს.

— მერე, ვის ვინ ებრალება?—მშვიდად ამბობს ბუკოემოვი.

— ეგ მართალია!—დაბალის ხმით შენიშნა ხრამოიმ.—არავის არავინ...

— შენ სათნოებაზე ამაოდ ლაპარაკობ... სტყუი, შე ქოფაკო!.. უთხრა მოხუცმა.

— განა სიბრალული არსებობს?—ამბობს მახინი და რიგრიგად ყველას აცქერდება, ერთ-ერთმა მაინც მიპასუხოსო.

— აი გაკითხეთ, მოწყალება, მაგალითად—დუდუნებს შიშოვი.

ხრამოიმ თავი მაღლა აიღო და გადაჭრით შენიშნა:

— მოწყალებას შენ კი არ გაძლევენ, ღმერთს ავალებენ...

— გაძლევენ, რაც არ ენანებათ,—დაემოწმა ბუკოემოვი.

მცირეწლოვანთა სენაკში სიმღერა დასძახეს.

ერთმა ყმაწვილმა გაბედულად და საამოდ დაარაკრაკა:

დავილუპე პაწაწინა,
ველარ დავბრუნდები შინა...

მზის სხივი ახლა კარისკენ გადავიდა და საპატიმროს დახშულ ჰაერში როგორღაც აწითლდა. შიგ მტვერი უფრო სქლად აირია, ბუზები წინანდებურად დაბზუიან. ბავშვების ოთახში სიმღერა აუჩქარეს და ცეკვის ჰანგზე გადავიდნენ:

მამაჩემი დანით დავკალ,
დედა ხელით დამირჩეია...
პაწაწა დაჲ, მოტიკტიკე,
ვოლგაშია გადმიგდია!

— იჰ, იჰ!—დასძახიან ბავშვები, შტვენითა და ბაკაბუკით.

— ეი, თქვენ, ლეკვებო!—უყვირის ზედამხედველი და კარებში მუშტს უბრახუნებს.

— მე ლაპარაკი მიყვარს, ხრამოი,—ამბობს ბუკოემოვი და თან წვერს თითებით ივარცხნის,—შენ კი ყურისგდება იცი... მაგრამ შენ რომ დაიწყებ ლაპარაკს—ეგ-კი არ მომწონს... შენ უფხო კაცი ხარ და მხდალი... და ტყუილად თვალს ნუ იხევ. ყველაფერს პირდაპირ შეხედე—ეს იყოს შენი კანონი! მთლად სიბრძნე ამაშია... ყველაფერს თვალი გაუსწორე—სხვა არაფერი... შენ კი ამბობ—ხალხი... ესა და ის... სიბრალული!

მოხუცი ლაპარაკობს მშვიდად, დალაგებით, გულცივად, თუმცა ხმაზე სიმტკიცე, ძალ-ღონე და სიმხნევე ეტყობა. სქელ და გრძელ წამწამებიდან მისი ლურსმანისავით წვეტიანი და ბასრი რუხი თვალეში ანათებენ.

— მე რად უნდა მებრალებოდეს ვინმე, თუ რომ არავის არავინ ებრალება? არ მინდა სიბრალული, და ან რაში გამომადგება... აი, ყური დამიგდე, მე დაგარწმუნებ...

მოხუცმა ხელი გამოაშვირა და ერთი თითი მოიკაკვა.—პირველად, პატარა რომ ვიყავ, მახსოვს, მე და დედაჩემი ფეჩის ბანზე ვიწექით. დედა ზღაპარს მიამბობდა... მოვიდა მამა, დაითრია დედა თმით და იატაკზე დაანარცხა, ვითომც მხრებიდან ქურქი გადუგდია... მერე მისდგა, სცემა, სცემა—მოიღალა... ვახშამი მოიტა, ჩქარო!.. ის კი მთლად დასისხლიანებულია და ფეხზე ვერა დგება.

— რისთვისა სცემდა?—ეკითხება მახინი.

— ერთხელ კიდევ, მახსოვს,—განაგრძობს ბუკოემოვი,—მოიღალა ცემით და შეისვენა... დედა მივიდა, დაუჩოქა და შეევედრა: „ძმოკალ, თუ ქრისტე გწამს, ერთბაშად მორჩი, ნუ მტანჯავ!“ ის კი ეუბნება: „არა, დამაცადე, ერთბაშად არ ივარგებს“!.. მე მაშინ ექვსისა თუ შვიდის წლისა ვიყავ... და, მირთლაც, ეგრე ცემით მოუღო ბოლო...

მახინმა თვალები მოხუჭა და სიამოვნებით დაიწყო:

— ჩემი ძმა ცოლსა სცემდა, რა სცემდა... უჰ! სულ ძვლები უხრაგუნებდა!.. გუსარი იყო, სამსახურიდამ დაბრუნდა და შვილი კი დახვდა... ერთი ისეთი გაუშალა სახეში!..

— სოფელში ცხენსა სცემენ, ძაღლსა სცემენ,—ისევ წყნარად განაგრძო ბუკოემოვმა,—მაგრამ დედაკაცს რო სცემენ, ის სულ სხვაა... დედაკაცში ფული არ გაუღიათ, ცხოვრება კი მწარეა, ხალხი გაბოროტებულია... ხშირად ისე... გასართობად სტანჯავენ ადამიანს...

შიშოვს კუთხეში სთვლემდა. ეხლა კი შეინძრა და ამოიქშინა.

— ეგ შეიძლება!—ხრინწიანის ხმით გადმოიძახა იქიდან.—ისე უნდა გაარტყა სილა, რომ ჰაერი ბლომად შევარდეს ყურში... ჰაერი გაჰგლეჯს.

თან იცინოდა, მოხუცსაც გაეცინა.

— სიბრალული არსად და არავისგან მინახავს, ჩემო ხრამოი.. და არც მე მაქვს შებრალება... სად უნდა მესწავლა... ერთხელ ბევრი ერთად მიეყავდით. პოლიტიკურებიც იყვნენ და, მათ შორის, ერთი ურიაც. ბენკას ეძახდნენ, ბენიამინი თუ იყო... პატარა, ტან წვრილი, დაბალი, ხუჭუჭ-თმიანი. მუდამ მოცინარის თვალებით, მოსაუბრე, გამრთობი და მანუგეშებელი. ყველა იღალებოდა,—ცხელოდა და საშინელი მტვრის კორიანტელი იდგა გზაში,—ის კი, ვითომც აქ არაფერიაო, მღერის, ხუმრობს, ყველას ალერსიან სიტყვას გადუგდებს... არის იმისთანა ვაჟკაცი, რაც უნდა უყო, კანსაც რომ აძრობდე, ატყავებდე, ის ღიმილით შემოგყურებს და, რომ შეხედავ, შენც გული გაგინათლდება და ლაღად ამოისუნთქებ... ჩვენ ყველას გვიყვარდა... დარაჯების უფროსმა კი აითვალწუნა... რისთვის—არ ვიცოდით,—მაგრამ ისე კი ეპყრობოდა, როგორც დიაცი მოძულებულ ქმარს. უყვირის, ლანძღავს და სულ უმიზეზოდ... სულ „ურიკლიკე, ურიკლიკეს“ ეძახდა! რა მინდაო? საპყრობილე ხომ ყველა სჯულს აერთიანებს, ერთს ნათელსა სცხებს... ჰო, რას არ უშვრებოდა უბედურ ბენკას... ბოლოს ისე გაუჭირა საქმე, რომ მოთმინებიდან გამოიყვანა. ერთხელ ისე გააზიზღიანა, რომ თავი ველარ დაიჭირა და დაუყვირა: თქვენ საზიზღარი ხართო!.. მხრების თავს ხმალმა იელა... ყელიდან სისხლმა ითქრიალა... ესე მოუღო ბოლო... ტყუილად, უმიზეზოდ.

— შეგებრალა?—ნელა შეეკითხა ხრამოი.

— რაო?

— შეგეცოდა-მეთქი ის ურია?—გაიმეორა ხრამოიმ.

— სიბრალულზე შენ ნურას მეტყვი!—მკაცრად უთხრა ბუკოემოვმა.—მე რა სიბრალული შემრჩებოდა, როდესაც მუდამ ჩემ თვალწინ ადამიანს სცემდნენ და სტყეპდნენ, როცა ვხედავ, რომ ადამიანი პირუტყვზე იაფია? დიაღ!.. მე რომ შენ გიამბო ჩემი თავგადასავალი,—სად, რამდენჯერ და როგორ მცემდნენ... შენც კი ყელამდე გაიბერები... სიბრალული?.. სტყუი! მე ოცი წლით მაინც ვიქნები შენზე დიდი, მთელი რუსეთი მომივლია, მინახავს, დამითვალიერებია—შენ სტყუი!

მოხუცი ისეთის რიხითა და რწმენით ლაპარაკობს, თითქო ხრამოის შუბლში სცემს თავის გამხმარ მუშტსაო.

— საზარელი სიცოცხლეა!—წაიბუტბუტა ხრამოიმ.

— რაო?—მკაცრად შეეკითხა მოხუცი.

— სიცოცხლე საზარელია-მეთქი...

— ჰკაფიოდ უნდა სთქვა!.. ცივად ურჩევს ბუკოემოვი:

მახინი ჩაფიქრდა, თვალები მოხუჭა, სქელი მხარ-ბეჭი შეიმშუშნა და ნელ-ნელა თავისი წარსული წარმოიდგინა.

— მოზარდი ვიყავ, კიტრსა ვყიდი... და პოლიციაში წამათრიეს... როგორ უწყალოდ გამტყიპეს... თმით მათრიეს, გვერდები დამიჟეჟეს... ღმერთო, იესო!

ბუკოემოვი ხრამოის შესცქერის და ამაყად, როგორც გამარჯვებული, დინჯად განაგრძობს:

— მე დარბაისელი, ნამდვილი, უზიანო კაცი ვარ. ყველაფერი მინახავს დედამიწაზე და ყველაფერი ვიცი... და შენ სიბრალულს რომ მეუბნები,—მაშფოთებ, ეკვს მიღვიძებ. ნუთუ ვცდები? ნუთუ რაღაც სიკეთე ვერ შემიმჩნევია? მაგრამ არა, სტყუი, ხრამოი... ტყუილად მაშფოთებ... არავის არავისი შებრალება არა აქვს და მეც არავინ უნდა მებრალებოდეს... არავისგან სიკეთე არ მინახავს... ხმიადები და ნაზუქები—კი... მაგრამ კვერით ვერ მომატყუებ... შენ ის დამითმე, რაც შენ უფრო გენანება, რაც შენთვის უფრო ძვირფასია! არ შეგიძლიან? მაშ ნუღარ ცრუობ... ძაღლო!.. ან რა არის ადამიანი? თუ რომ შეგიძლიან ვირთაგვასავით აწვალო... ის კი გარბის და იმალება.

ახლა ჩასუქებული შიშოვიც ჩაერია ლაპარაკში. თან იცინის და სიცილში ცალკე სიტყვებს ძლივს ამბობს:

— ჩვენსა... იცოდნენ... საყასბო რიგში... ვირთაგვას ნავთს დაასხამენ და... მოუკიდებენ... ის კი წრუწუნებს... დახტის...

მახინი შეჰყურებს და ისიც მხიარულად იცინის. ხრამოიმ თავი აიღო, ყველა ჩამოათვალიერა და ამბობს:

— ეჰ, ნათქვამი-კია: ყოველი სული აქებდეს უფალსაო...

მოხუცმა გვერ-გვერდ შებუღვირა და შენიშნა:

— ცოტა რამ თქმულა... შენ ისა სთქვი, რაც გაკეთებულა!..

მზის სხივი თანდათან კარებს აიცოცა და უფრო წითლდება. ბუკოემოვი ტახტის ნაპირზე ზის, ფანჯარაში იყურება და თავს აქნევს.

— ხანდისხან გულს მაზიდებს, ხრამოი... იმ დროს მინდა ქუჩაში გავიდე, ხალხში გავერიო და დავიძახო: მე კაცის მკვლელი ვარ, მართალია! თქვენ კი ყველანი საზიზღრები ხართ, და ეს ხომ უფრო საძაგლობაა. იქნება, მე იმიტომ გულეტავთ... რომ თქვენ ამის ნებას მაძლევთ...

— დიაღ! ჩემი ენის წინააღმდეგ თქვენ რა მოიგონეთ? ჯაჭვი?...

და თავის ბორკილი მძლავრად ააჩხარუნა.

— მერე ვინ დაგიჯერებს?—წყნარად შეეკითხა ხრამოი. და თავის თავს თითონვე უპასუხა:

— არავინ დაგიჯერებს...

— ჰო და, დამიფურთხებიან!.. ამბობს შუბლშეკრული ბუკოემოვი,—ჯაჭვი იყოს... არ ვიცი კი, ვის უფრო ბევრი დააკლდება... მე, თუ იმათ... ეს გამოსაცნობია...

ერთ წუთს სიჩუმეა. მზის სხივი ილევა...

მახინი წამოდგა, ბეცსავით აქეთ-იქით იყურება და უაზროდ ადგილსა ტკეპნის.

— შიშოვ, მოდი, ვითამაშოთ, ჰა?—თხოვნით ეკითხება.

შიშოვი ტახტზე ფათურობს და ქშინავს.

— მოდი... მე შენ გასწავლი!..

კარპ ივანიჩ ბუკოემოვი იატაკს დაჰყურებს. წარბებს ათამაშებს. ფეხები გადმოუშვერია და აქანავებს, ბორკილს აჩხარუნებს და თან შუბლშეკრული ლაპარაკობს:

— შენ სულ ცუგიასა ჰგევხარ მახინ... მე რომ ვადა გამითავდა და დავსახლდი, იმ დროს ერთი ფინია მყავდა... ჭრელი პირუტყვი თეთრნიშნიანი... მხიარული რამ იყო. სულ ჩემს გარშემო დახტოდა, ცმუკავდა, ფეხის გადადგმას მიშლიდა!.. ჩემთან ეძინა... იაროსლავის ალქაჯსა! ამომიხტება ლოგინში და მოიკალათებს... იმისი რწყილი სულ მე მეხვევა... ხელს დავავლებ, იქით გადავისვრი—ის დაიწმუკუნებს, ისევ მოცოცდება და საბანს კბილით ეწევა... ვერაგზით ვერ ვიშორებდი... დილით რომ გამომეღვიძებოდა, ის ჩემ წინ დაცუცქდებოდა, თვალს გამისწორებდა, პირს აწკლაპუნებდა და კუდს აათამაშებდა, თითქო ნიშნს მიგებს—ჰე მე ხომ ჩემი ავასრულეო!

ბუკოემოვი იღიმება და განუძრევლად იატაკს დასცქერის. ხრამოი საკერავს თავს ანებებს, იმას მისჩერებია და ელოდება.

— მერე?

— რა მერე?

— ლეკვი რა იქნა?

— მოკვდა... ვიღამაც წელში გადატეხა...

— გებრალება?—ნელა ეკითხება ხრამოი და თან დაცინვით იღიმება.

მოხუცმა აუჩქარებლად პირი იმისკენ იბრუნა და ზიზღით უთხრა:

— დამეკარგე! ტარტაროზმა კი წაიგლოს!.. დიაღ, როგორ არა, ძღარბი კბილით არ დაიჭიროო!..

ხრამოი თვალს თვალში უყრის, ტუჩებს ღიმილით ათამაშებს და ეუბნება:

— თუ არ გებრალება, რაღად გახსოვს? ხალხი დაგიხოცია, დაგვიწყებია, ლეკვი-კი გახსოვს? შენ თითონ სულ სტყუი.. აი, რა უნდა მოგახსენო!

— გახევებულო!—ხანტად ეუბნება მოხუცი კატორღელი,—ის მეალერსებოდა!..

ტახტზე პირაღმა გადაწვა და ორივე ხელი თავქვეშ ამოიდო.

შიშოვი და მახინი კამათლებს აცოცებენ.

ფანჯარაში ცის ნაჭერი მოჩანს, ვარდისა და ოქროს ფერი. იქ ტრედები ფრთხიალებენ. დედამიწა კი ფანჯრიდან არა სჩანს.

სატუსაღოში სიჩუმეა.

ხრამოიმ დააკონკა პერანგი, გაშალა, თავი გვერდზე გადაიღო, თავის ნამუშევარს თავმომწონედ დააცქერდა და ღიღინი დაიწყო:

წარამარა დავდიოდი,
არ მქონია არსად ბედი...

კარპ ივანიჩ ბუკოემოვმა ამოიოხრა, ჭერს შეაფურთხა და ზმორებით ამბობს:

— ეჰ, მომბეზრდა თქვენთან ყოფნა... უგვანო მაზხალებო!..

ბაში გამოდიოდა. რედაქცია აცხადებს, ცენზორმა ისე გაგვიჭირა საქმე, რომ მუშაობა აღარ შეგვიძლია, ძალ-ღონე აღარ შეგვწევსო. რედაქციას იმედი აქვს, რომ მალე მოისპობა ცენზურა, დამყარდება თავისუფლება და გაზეთსაც პირიდან კლიტე აეხსნება (რ. ს.).

✦ კიშინევში 27 ივლისს ერთ სახლს ცეცხლი წაეკიდა. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ცეცხლი გაძლიერდა, სახლმა იფეთქა და სულ განადგურდა. აღმოჩნდა, რომ იმ სახლში **ყუმბარები, ლედიტი, პიროქსილინი და თოფის წამალი** ინახებოდა. (რ. ს.).

✦ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, დონის როსტოვში **გაძლიერებული დაცვის წესი** ერთის წლით კიდევ გაგრძელდება (რ. ს.).

✦ 28 ივლისს აზოვში **მოჰკლეს** პოლიციელი გონტარევი. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს (რ.).

✦ ჟანდარმთა პოლკოვნიკის კრამარენკოს მკვლელი პროკოპე, რომელსაც **სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა,** გასამართლებულ იქმნა პეტრეპაულის ციხეში, სადაც უკანასკნელ დროს სამხედრო სასამართლო ხშირად არჩევს პოლიტიკურ საქმეებს. ციხეში, რასაკვირველია, არავის უშვებენ; მაშასადამე, საქმის გარჩევასაც ვერავინ დაესწრობა (რ. ს.).

✦ 26 ივლისს ოდესის სამხედრო სასამართლომ 3 კაცს კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა იმისთვის, რომ ისინი **ყუმბარებს ინახავდნენ** (რ.)

✦ ივანოვო-ვოზნესენსკში 4 თვის გაფიცვის შემდეგ, ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობა განახლდა. ზოგან **მუშებს დაუთმეს,** ზოგან კი მუშაობა წინანდელ პირობებით განახლდა (რ.).

✦ სმოლენსკის გუბერნატორმა **მოსპო** სმოლენსკის წიგნების გამომცემელთა საზოგადოება (ნ. ჟ.).

✦ სესტრორეცკის საავარაკოში ცნობილმა არტისტმა სევერსკიმ, ნაფიცმა ვექილმა გრიგორიევმა და რამდენიმე სხვა ინტელიგენტმა უწესობა მოახდინეს და ამ **უწესობაში არტილერიის აფიცრებიც ჩაითრიეს.** არტილერიის ბრიგადის უფროსმა ბრძანება გამოსცა და აფიცრებს საავარაკოში მისვლა აუკრძალა (რ. ქ.).

✦ გერმანიის საზღვარზე, გერმანიის მიწა ადგილზე რუსმა დარაჯმა თოფით **მოჰკლა** 8 წლის ქალი, რომელიც ყანაში თავთავს აგროვებდა. გერმანელები აღელდნენ და ამის გამო კინაღამ შეტაკება მოუვიდათ რუსებთან. გამოძიება სწარმოებს (ნ. ჟ.).

✦ გაზეთ „პრომიშლ. მირ"-ის უკანასკნელ ნომერში სწერია: **„რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო"** ზოგიერთა წერილი ვერ იბეჭდება (ნ. ჟ.).

✦ პეტერბურგის თითქმის ყველა ქარხნისა, ფაბრიკისა, სახელოსნოსი და მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეებმა და მუშებმა დაადგინეს: თვეში ერთი დღის ნამუშავარი ფული მიეცეს პუტილოვის ქარხნის მუშებს, რომელნიც ამჟამად დამშეულნი არიანო. (ნ. ჟ.).

✦ ყიზლიარში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მცხოვრებთა პიროვნებისა და ქონების დაცვა თვითონ **მცხოვრებლებს მიანდო:** მთელ ქალაქს 400 თოფი და ას-ასი პატრონი დაურიგეს (ნ. ჟ.).

✦ გაზეთ „გაზმანი"-ის კორესპონდენტი სიონისტთა კონგრესიდან—ბაზელიდან, იწერება: „პალესტინელი სიონისტები თავიანთ ჰიმნს მღეროდნენ: **„არ დაგვკარგვია ჯერ იმედი«.** მუშა სიონისტები კი რუსულად **მარსელიეზას მღეროდნენ.** ზოგნი „დუბინუშკას" ამბობდნენ. ამ კონგრესმა საბოლოოდ დაარწმუნა ყველანი, რომ სოციალ-დემოკრატიის პროგრამა და მუშა სიონისტობა ერთმანეთს არ შეეფერება. ეს მუშებმაც აღიარეს და მართლმორწმუნე სიონისტებმაც. (რუს.).

✦ 25 ივლისს მოსკოვის საოლქო სასამართლოში შემდეგი **ღირსშესანიშნავი ამბავი** მოხდა: სასამართლოში ირჩეოდა ვიღაც ჯაბგირის საქმე. მოწმედ მოწვეული იყო როსკიპი ქალი შუმოვისა, რომელსაც ჯერ უნდა დაეფიცნა და მერე ემოწმა. მაგრამ შუმოვისამ უარი განაცხადა ფიცზე და თავს იმით იმართლებდა, მე როსკიპი ვარ და ფიცს ვერ მივიღებო. სასამართლოს თავმჯდომარემ აუხსნა, რომ ის ქრისტიანია, როსკიპობას კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ საქმეშიო. მაგრამ შუმოვისამ გადაჭრით უარი განაცხადა და სთქვა, მე ქრისტიანი არა ვარ, რადგან ჩემის ტანით ვცხოვრობ და ამიტომ ვერ დავიფიცებო. ბოლოს ჩვენება უფიცოდ ჩამოართვეს (რ. ვ.).

✦ იმავე დღეს იმავე სასამართლომ გაარჩია საქმე ვინმე ერმაკოვისა, რომელსაც, ქურდობა ბრალდებოდა. ერმაკოვი მოხუცებული, ცუდ ავადმყოფობით შეპყრობილი და თითქმის მთლად დამპალი კაცია. ბრალდებულმა თავის დანაშაული იმით ახსნა, რომ მშიერ-მწყურვალი ვიყავი, მშიოდა, ავად გავხდი და საავადმყოფოში კი არ მიმიღესო. მერე, როცა ყველას თავი მოვაბეზრე და ვერაფერს გავხდი, პოლიციაში მივედი და დახმარება ვითხოვე. პოლიციელებმა მითხრეს, მოიპარე რამე, დაგვეჭირენე და შენი საქმე გამოკეთდებაო: ციხის საავადმყოფოში დაგაწვენენ, გაჭმევენ, გასმევენ და გიწამლებენო. მეც ასე მოვიქეცი: ვიქურდე და **პოლიციას დავეჭირინე.** მართლა საავადმყოფოში დამაწვინეს და ორიოდე თვე კარგად მაცხოვრეს. ბრალდებულმა სთხოვა მოსამართლეს, გამამტყუნეთ და დიდი ხნით გადამიწყვიტეთ ციხე, თორემ თუ გამამართლეთ და გამიშვით, სიმშილით მოვკვდებიო (პ. კ.).

✦ 23 ივლისს ვარშავაში დავით კრაუზე **ჩამოარჩვეს.** (პ.).

✦ მელიტოპოლისა, ტაგანროგისა და კერჩის ქალაქის საბჭოთა ებრაელ ხმოსნებმა ხმოსნობაზე **უარი** განაცხადეს (პ.).

სასამართლო

კანდიტერ ალიხანოვის მოკვლა

გუშინწინ, 3 აგვისტოს, კავკასიის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე კანდიტერის ალიხანოვის მოკვლის შესახებ. დარბაზი ხალხით აივსო. თავმჯდომარედ იყო გენ.-მ. რუდიცკი. პასუხის გებაში მიცემული იყვნენ ქუთ. გუბ. მცხოვრებნი ნ. მ. თევზაძე, ე. ს. ნიკოლაიშვილი და ტ. ი. სახაძე და ტფილისის გუბ. მცხოვრ. ი. პ. ნებიერიძე. ვექილებად სასამართლომ დაუნიშნა სახაძეს—ნ-ფ. ვექ. თანაშემწე მაჭავარიანი, ნებიერიძეს—უახნელი, თევზაძეს—თუმანი, ნიკოლაიშვილს—კოშლაკოვი. სასამართლოში 19 მოწმე გამოცხადდა. საქმის ვითარება შემდეგი არის. ამ წლის 2 მარტს, სადამოს, ბრალდებულებს განუზრახავთ ალიხანოვის მოკვლა, რევოლვერებით შეაირაღებულან და შესულან საკანდიტროში. პირველად შესულა ნებიერიძე, თითქო ხურის სასყიდლად, და ამით იქ მყოფთა ყურადღება მოაშორა მის შემდეგ შესულ თევზაძეს, რომელმაც რევოლვერით მოკლა იქვე მდგომი საკანდიტროს პატრონი ალიხანოვი. ნიკოლაიშვილი და სახაძე კი ამ დროს კარებთან მდგარან. ნიკოლაიშვილს და თევზაძეს ამას გარდა ბრალდებათ, რომ გაქცევის დროს, რევოლვერი ესროლეს პოლიციელს რაშკოვს, რომელიც მათ დასაჭერად გამოსდევნებიათ. ნამესტნიკის ბრძანებით ყველანი სამხედრო სასამართლოში მისცეს. გამოძიების დროს, ზემოთ აღნიშნული დაამოწმეს საკანდიტეროში მოსამსახურე პარებმაც,—პოლიციელმა ბარანოვმა კი განაცხადა, თევზაძე პოლიციაში რომ მიმყავდა, თვითონ გამოტყდა,—ალიხანოვი მე მოვკალიო. მეცხრე საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა ნოტკომ გამოაცხადა, ალიხანოვს მარტში ტერრორისტულ კომიტეტისაგან წერილი მოუვიდა, სადაც ემუქრებოდნენ—მოგკლავთ, 8 საათზე თუ არ დაკეტე ხოლმე შენი საკანდიტრო. ესევე დაამოწმა ნან. გოდაიშვილმაც. მოწმეების გამოკითხვა ნაშუადღევის 3 საათამდის გაგრძელდა. სასამართლომ სახაძე და ნებიერიძე გაამართლა, თევზაძესა და ნიკოლაიშვილს კი ჩამოხრჩობა მიუსაჯა და ამასთანავე გადასწყვიტა ხელმწიფესთან აღიძრას შუამდგომლობა, რომ მათ სიკვდილით დასჯა კატორგაში სამუდამოდ გაგზავნით შეეცვალოს.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. ქურთა (გორის მაზრა). 1-ს აგვისტოს, ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილის რეჟისორობით, აქ წარმოადგინეს; „გაცრუებული იმედები", „ვაი კალმისაგან" და „დედის ერთა". წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. განსაკუთრებით ნიჭი გამოიჩინა ნინო ჩაგუნავამ, რომლის თამაშმაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ქ-ნი მ- „რუსიც" მშვენივრად უწყობდა ხელს წარმოდგენას, რომელსაც თავისი როლი მშვენივრად შეეთვისებინა. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, იმის მიუხედავად. რომ ბილეთები ძრიელ იაფ ფასიანი იყო, მაინც წმინდა შემოსავალი ოც მანათამდე დარჩა.

მადლობის ღირსია ქ. ელ. ჩერქეზიშვილისა, რომ საზოგადოება დაატკბო ამგვარის წარმოდგენით. როგორც გაგვიგია, ამ პიესებს კვირისთვის ცხინვალში დასდგამენო. კარგი იქნება, რომ ეს სიმპატიური საქმე სისრულეში მოიყვანონ.

ქარ-ცეცხლი.

კორესპონდენცია

ქიზიყი, 25 ივლისს. ამ თვის 24-ს, სოფელ ქვემო-მაჩხაანში, შეიკრიბნენ ამავე სოფელში დაარსებულ კერძო სასოფლო სამკურნალო-ქსენონის კომიტეტის წევრნი, რომელთა მოვალეობაც, წესდების ძალით, სამკურნალოს ნივთიერ მდგომარეობის გამგეობაა. კომიტეტის წევრთა კრებას გარეშენიც ბლომად დაესწრნენ. კრებას უნდა განეხილა წარსული ანგარიშები და მსჯელობა ჰქონდა აწინდელ ქსენონის უნუგეშო მდგომარეობაზე.

უნდა ვსთქვა, რომ ხალხი, კარგა ხანია, დრტვინავს საავადმყოფოში საკმაო წამლები არ მოიძებნებაო. ექიმმაც, ამ ბოლოს დროს, თავი მიანება სამკურნალოს. ახლა ქსენონი ერთის ფერშლის სიხაბარაა. მხოლოდ ერთი კვირა იქმნება, რაც ზაბაა ქალი გამოგზავნეს.

კრებაზე ლაპარაკი აღიძრა,—გარეშე დამსწრეთ მიეცეთ, თუ არა ნება კამათში მონაწილეობის მიღებისაო. კომიტეტის წევრებმა ერთხმად ამის ნება დართეს. წინაადმდეგი მარტო კომიტეტის თავმჯდომარე, ადგილობრივი ბოქაული იყო, რომელსაც, გარდა კომიტეტის თავმჯდომარეობისა, წესდების ძალით, ქსენონის მართვა-გამგეობის საქმეში დიდი უფლება აქვს მიცემული.

კამათიდამ გამოირკვა, რომ საავადმყოფოს ნივთიერი მხარე ცუდად ყოფილა დაყენებული და სოფლებიდამ შემოსული ფული კომიტეტის წევრთა დაუკითხავად იხარჯებოდა.

კომიტეტის წევრებმა ისურვეს, რომ ამას იქით ქსენონის ნივთიერი გამგებლობა ხალხის-მიერ ამორჩეულ პირთა ხელში და მათ კონტროლ ქვეშ გადავიდეს. წესდებაც ამის მიხედვით უნდა შესწორდეს და ქსენონის გამგებლობაზე პოლიციის ზედგავლენა სრულიად მოისპოსო. გვეყო, რაც აქამდის ხმის ამოუღებლად ქედს ვიხრიდითო; ამას იქით მაინც ჩვენი ნაოფლარის დახარჯვის ანგარიში გვეკითხებოდესო.

კომიტეტის ერთმა წევრთაგანმა გულწრფელად აღიარა, რომ თუმცა ცოტაოდენი ბრალი ამ დაუდევრობაში ჩვენც გვიდევს, მაგრამ ვის არ მოეხსენება და გვარად იყო აქამდის პოლიციის გაბატონებული. იგი ძალას გვატანდა, ფეხებს გვიბრახუნებდა და თავის ნებაზე შედგენილ ანგარიშზე ხელს გვაწერინებდაო.

კრებამ ანგარიშები ვერ განიხილა, რადგანაც ყველა საბუთები და დავთრები ხელთ არა ჰქონდა. ამიტომ კრება შემდ აგვისტოსათვის გადაიდო. ამ მომავალს კრებაზე კომიტეტის ყველა წევრი უნდა დაესწროს, ანგარიშისათვის საჭირო დავთრები შეიკრიბოს და მოწვეულ იქმნას ყოფილი ექიმი სამკურნალოს ქონების ჩასაბარებლად...

ხალხის გათვითცნობიერების მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ სოფლის საზოგადოებათ გაიჩინეს სახალხო სამართალი და ყოველისავე საქმეს თავიანთ შორისვე ამორჩეულნი მოსამართლენი აწარმოებენ და განაჩენს სდებენ. ამ მარტივმა სახალხომა სამართალმა ბევრა სიკეთე მოუტანა სოფელს, ბევრი ავ-კაცობა მოსპო და უზნეობას ფრთები შეაკვეცა. იმედია, სახალხო სამართალი მომავალში უფრო გარკვეულ, სწორე ნიადაგზე დამყარდება და სოფლელებზე უფრო მეტს ზნეობრივ ზედგავლენას მოიპოვებს.

წელს ჩვენსკენ გვარიანი მოსავალი იყო ჭირნახულისა. საკმაო ქერი და პური მოვიდა. ფეტვი ქერი ამჟამად ორ აბაზად იყიდება. ნაწამლ ვენახებსაც არა უჭირს-რა; მხოლოდ წელს ვაზს ახალი ავადმყოფობა გაუჩნდა, ამ ავადმყოფობას ქიზიყელებმა **წითელა** დაარქვეს. ყურძნის მტევანს მარცვლები უწითლდება და უხმება. ეს სენი ყველა ჯურის ვაზს ერთნაირად არ მოსდო. რქაწითელი უფრო დაზარალდა. საჭიროა, ჩვენმა მცოდნე მევენახეებმა ამ სენს ყურადღება მიაქციონ და რაიმე წამალი მოუძებნონ, თორემ ვენახს ძლიერ დიდ ზარალს აძლევს.

თამბაქოც წელს კარგი და მაღალი გაიზარდა. ამინდი ხელს უწყობდა.

ამ თვის ცხრამეტში საშინელი დიდი წვიმა მოვიდა. დიდი ნიაღვრები მოვარდა და ქიზიყელებს დიდი ზარალი მისცა: ზოგს თამბაქო წაუღვა, ზოგს ვენახში ვაზი წაურეცა, ზოგს დუქნებში შეუვარდა სავაჭრო საქონელი გაუფუჭა, ზოგს ახალი შენობა დაუნგრია, ზოგს საბძელი მოსტაცა.

ქ.

—

ს. რეხა, გორის მაზრა. 30 ივლისი. ქართლში განთქმულმა „შავმა რაზმმა", ამ მოკლე ხნის განმავლობაში იმდენი „საგმირო საქმენი" მოიმოქმედა, რომ უკვდავ ჰყო თავისი სახელი. ამ სახელს ერთი გვირგვინი კიდევ შეჰმატეს ამ თვის 29 ს ს. რეხაში.

ამ სოფელში ცხოვრობს ერთი შეძლებული გლეხი მიქელა ქარელიშვილი. ამ გლეხსა შეზობლებ სოფლის აზნაურებს ემართათ ხოლმე ფული. ამიტომ ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი.

ხუთ კაცს „შავ რაზმელებს" უფიქრიათ, მაინც „შავი რაზმის" ღირსი და სიცოცხლე საჭიროა, მაინც სიმშილით, ჭუჭყით და სიტიტვლით ვიხოცებით, მაინც ხომ „ბუნტებს" დაჭერებდება და რატომ არ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევათა,—იქნება ერთი ათიოდე თუმანი მაინც დავაძროთ იმ გლეხსა და სული მოვითქვათო. ამ მიზნით ოცდაცხრა ამ თვეს, მამლის ყივილისას, როცა სოფელი ღრმა ძილში იყო, შუა სოფელში მოისმა ცხენების თქარათქური და თოფის სროლით მიქელას კარებზე გაჩნდა ხუთი თოფებითა და ხმლებით შეაირაღებული „შავი რაზმელი". თოფის ხმაზე სოფელი ფეხზე დადგა.

—ეი, მიქელო, გამობძანდი კარში!—შესძახეს ძალად სტუმრებმა გაფითრებულ მასპინძელს, რომელიც პერანგა გამოსულიყო კარზე და კანკალით შესცქეროდა უდროოდ მოსულ სულთამხუთავებს.

მიქელამ იცნო სამი იმათგანი და ცოტა გულზე ეფონა: ესენი როგორ გამიმეტებენ მოსაკლავადაო, და ცოტა გონებაზე მოსულმა მოახსენა: რას გვიბრძანებთ, ბატონო, მიბძანეთ და, თუკი შესაძლებელია, რა თავი გამექნევაო.

— შენი და რაც ფული გაქვს, გამოიტანე, თორემ აქვე გაგაცეცხლებთო,—მიქელას ფერი ეცვალა. იმ ხანად სახლში ფული არ შესწრებოდა და რა უნდა ექმნა.

— თქვენი რისხვა არა მაქვს, ბატონო, ცოდვილი დამეხოცოს, თუ მქონდეს და არ მოგართვათო.

— ვერ უყურებ ამ ქოფაკ-მ—სახ!—შემოუტიეს ღამის რაინდებმა.—ტყუილად ძუნწობ, სულ ერთია, გამოგატანინებთო.

ბევრი ეფიცა მიქელა, რომ არა მაქვს სახლში ფული, თუ ერთი-ორი გროში მაქვს, ისიც სხვასა აქვს წაღებულიო, მაგრამ არ დაუჯერეს.—აი მაგისა!... მოვკლათ თუ არ მოგვცაო,—და შესაშინებლად თოფები გაისროლეს. შემინებული მიქელა შევარდნილიყო სახლში და ურდულით კარები მოეკეტნა. „შავ რაზმელებს", მოუკლავთ ფანჯრიდან და იქიდან ესროლეთ შინ მდგომისათვის. საბედნიეროდ, ტყვია არავის მოხვედროდა. ამ დროს გათენებას მოეტანებინა და „რაინდები" ცარიელი ხელით გზას გასდგომოდნენ.

ყველას თავები ეპანღახებით ჰქონდათ შეხვეული, მაგრამ მაინც სამი იცნობ, კაცებიც და ცხენებიც.

მეორე დღეს მთელი სოფელი ეახლნენ გორში მაზრის უფროსს და ყოველივე მოახსენეს. მაზრის უფროსმა მოუსმინა საჩივარი, იმათი („რაინდებისა") სახელი და გვარი დაიწერა და ეს ხალხი მერე თავად გენ. ად. ამილახვართან მიიყვანა. გენერალმა მოუსმინა საჩივარი და ებძახებინა:—„რა გიყოთ, „ერთობას" რომ იძახდით, არ იცოდით, რომ მაგეთი დღე დაგადგებოდათო. თქვენ სტუმრობით, ისევ თქვენები იქნებოდნენ და, რაკი ჩვენ თავად-აზნაურობას იარაღი დაგვურიგეთ, იმიტომ იმათი ჯავრი გჭირით, გინდათ მაგითი მაინც გადაუხადოთ სამაგიეროვო. მთელი სოფელი იქ იყავით და ხუთი კაცის დაჭერა გაგიჭირდათო! დაიჭირდით და მაშინ მეც დაგრწმუნდებოდი, რომ თქვენ მართალს ამბობთო.—ბატონო,—მოახსენეს გლეხებმა,—პოლიციამ ჯერაც რომ გვინახოს, იმასაც გვართმევს და ცარიელი ხელით ხუთი შეიარაღებული კაცისთვის რა უნდა გვექნაო.

მაინც გენერალი დაჰპირდა: მაზრის უფროსის თანაშემწეს გამოვგზავნი, გამოიძიებს და, თუ ვერ დაუმტკიცეთ, იცოდეთ, ციმბირში გაგზავნითო. ვნახოთ, გამოძიებას რა შედეგი მოჰყვება. „სწორედ კაცისათვის არც გათენებულა და არც გათენდებაო"! სთქვეს გულგატეხილებმა...

სალირა ანთაური.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

3 აგვისტო.

პორტსმუთი, 3 აგვისტო. სახალინის დათმობისა და საომარ ხარჯის ანაზღაურების გარდა, ვიტტე რუსეთის მხრივ შორეულ-აღმოსავლეთში საზღვაო ძალის შემცირებასაც ეწინააღმდეგება. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ მე 7 მუხლს დღეს განიხილავენ. რუსეთს აზრადა აქვს იმისი საბუთები წარადგინოს, რომ ეს გზა რუსეთ ჩინეთის ბანკს ეკუთვნისო. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ნამდვილი პატრონი ამ გზისა, რომელიც სტრატეგიულის მოსაზრებითაა გაყვანილი, რუსეთის მთავრობააო. სანდო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ იაპონელები იმ დრომდე არ შესწყვეტავენ ცოლაპარაკებას, ვიდრე მცირეოდენი იმედი მაინც ექნებათ გამარჯვებისა. ამბობენ, შეიძლება ასეთი კომპრომის მოხდეს: რუსეთი სამხედრო ხარჯის ასანაზღაურებლად იაპონიას სახალინს დაუთმობს, სამაგიეროდ რუსეთი დანაკლისს შეივსებს იმ სასყიდლით, რასაც ჩინეთი მისცემს რუსეთს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზისა, პორტარტურისა და დალნის სახელმწიფო ქონებათა დათმობისათვისაო. რუსეთი გადაუხდის იაპონიას აგრეთვე ტყვედ წაყვანილ რუსების გამოსაკვებ ხარჯსაც.

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო. „ტაიმს"-ში დაბეჭდილია პორტსმუტიდან მოსული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ხვალ ისეთს მუხლებს განიხილავენ, რომელთა გამო შეთანხმება შეუძლებელი იქნებაო.

ბერლინი, 3 აგვისტო. „კელნიშე ცეიტუნგი" სწერს: გერმანია დიდი მადლობელია ვიტტესი, რომელმაც განაცხადა: შეუძლებელია რუსეთ-ინგლისის კავშირი, თუ იგი გერმანიის წინააღმდეგ იქნება მიმართულიო. გერმანია რუსეთის მეგობრობას აფასებს. შეიძლება რუსეთი დასუტდეს, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზს დიდის ხნით კი არ ჩამორჩებაო.

ტოკიო, 3 აგვისტო. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 1 აგვისტოს, დილით, რუსების ცხენოსანთა რაზმმა 8 ზარბაზნითა და 5 ტყვიის მფრქვეველით ერშილინუში, ჩინტაუდან სამხრეთით 8 მილის მოშორებით, იაპონელებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. ამავე დროს იაპონელებმა უკუ აგდეს სამი როტა და ორი ესკადრონი, რომელთაც ჩინტაუს დასავლეთით 8 მილის მოშორებით იერიში მიიტანეს. ვენიუანპუმინშიაც იაპონელებმა რუსების იერიში მოიგერიეს.

ვარშავა. გაძლიერებულ წესის შესახებ წესდების მე-15 მუხლის ძალით, გენერალ-გუბერნატორმა მექარხნეებს, მეფაბრიკეებს, მედუქნეებს და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს უბრძანა, მუშების სია იქონიონ, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს სახელი და გვარი თვითოეულის მუშისა, პოლიციის მოთხოვნილებისამებრ წარსადგენად. ამ ბრძანების დამრღვევი დაისჯება სამის თვით დაპატიმრებით, ან 500 მან. ჯარიმით.

მარიენბადი. აქ მოვიდა ინგლისის მეფე.

სევასტოპოლი. „პრუტ"-ზე მომხდარ არეულობის შესახები სამხედრო საზღვაო სასამართლოს განაჩენი ბრალმდებელმა განასაჩივრა.

პარიზი, 3 აგვისტო, ნიუ-იორკიდან მოსული კერძო ცნობები იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალს ორგანიზაციაში იაპონიისა და ჩინეთის წარმომადგენელთა გარდა, ამერიკისა და რუსეთის წარმომადგენელნიც მიიღებენ მონაწილეობას, რადგან ამ რკინის გზის დაგირავებაში რუსეთისა და ამერიკის კაპიტალისტებიც ერევიანო. რადგან მანჯურია ყველასათვის ღია ქვეყნად გამოცხადდება და მანჯურიის მადნების დასამუშავებლად საერთაშორისო საზოგადოება უნდა შესდგეს, გარეშე პირებმაც ითხოვეს, კორეაში ძვირად რუსების მამულები იჯარით მოგვეციო.

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები ამბობენ, რომ იაპონიას უფლება აქვს რუსეთს კონტრიბუციაც მოსთხოვოს და სახალინის დათმობაცაო.

იაპონიის მთავარი სადგომი მანჯურიაში, 31 ივლისი. იაპონელებმა გუშინ ლიანდაგის გასწვრივ ჩანტაფუდან გირინამდე ადგილები დაზვერეს. იმათ დაირეკეს რუსეთის რაზმები, 11 მოუკლეს და 10 ტყვედ წაიყვანეს. რუსეთის რაზმები, რომლებიც იაპონიის ჯარსა ზვერავდნენ, უკუგდებულ იქმნენ.

სტამბოლი. ინგლისის ელჩმა მტკიცე პროტესტი განაცხადა იმ ძალმომრეობის გამო, რომელიც გამიდიეს ჯარმა სომხებზე იხმარა დიარბეკირში იმ დროს, როცა ხონთქრის მოკვლა უნდოდათ. ხონთქრის გვარდიიდან ალბანელები და არაბები გაქცეულიყვნენ, აფეთქებით შეშინებულნი, ხოლო ნამდვილი ოსმალნი კი გარსშემოს თემისა გაჩერებულიყვნენ და ხმალი ემოშლათ ხონთქრის დასაცველად. ამის გამო ხონთქარმა ბძანა, რომ სასახლის მცველებად მხოლოდ ნამდვილი ოსმალნი აირჩეოდნენ.

ბელგრადი. სხელდოვანი მაკედონელები, ბულგარები, სერბები და ალბანელები კრების გამართვას აპირობენ პრიშტინის მახლობლად, რომ შეთანხმდნენ, რა ღონის ძიებით შეიძლება ხონთქარი დაამხონ.

პეკინი. ჩინეთის იმპერატრიცას მოკვლა უნდოდათ იმ დროს, როდესაც ჰექინიდან უნდა წასულიყო საზაფხულო სასახლეში; ჯარის-კაცმა ბორბ-განმზრახველი ხიშტით მოჰკლა. იმპერატრიცა დაჭრილი არ არის.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღე 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—25)

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა

შემდეგის ფირმით:

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

„ძმობა"

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.

ტელეფონი № 1036.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და გაეგზავნებათ.

(15—12) **ალ. გ. საათაშვილი.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 4 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5